ეროვნული თავისუფლების გზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ხუთშაბათობით

№ 6 (1752) 13–19 აპრილი 2000 წ. ● ფასი 50 თეთრი

ინტერვიუ



ნოდარ ნათაძე:

მე-2 გვერდი

## ენიჭობა — უპირველეს ყოვლისა

ბენო კონჯარია:

მე-8 გვერდი

## როდემდე ვჭამოთ

მე-4 გვერდი

სხვა ქვეყნების მომწამვლელი პროდუქტები?

## რატომ მისცა ხმა ასლან აბაშიძემ ასლან აბაშიძეს

ამ საკითხის გარკვევა რთული არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს უფლება ჰქონდა არჩევანი საიდუმლოდ შეენახა და დაეფარა, თუ ვის მისცა ხმა, თუმცა ეს არ გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ასლან აბაშიძემ ხმა კანდიდატყოფილ ასლან აბაშიძეს მისცა. რატომ ჩაიდინა მან "დანაშაული"? პირველი და სუბიექტური მიზეზი ამ ქმედებისა, სხვა კანდიდატებთან შედარებით საკუთარი თავისადმი არსებული სიმპათია უნდა ყოფილიყო. მეორე — ღირსების გრძნობის



ნარჩუნება, ხმა არ მიეცა დაპირისპირებული ბანაკის კანდიდატისათვის და მესამე, ხმა არ მიეცა "მოღალატე" "აღორძინებულისათვის". იქნებ, ყველაზე სწორი სვლა, სწორედ საკუთარი თავის დაფასება გახლდათ (?!) და ამ გზით არჩევნების უგულებელყოფა?! ვინ იცის?

## ვის ებრძოდა ან რისთვის იბრძოდა ჯუმბერ პატიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში?

ამბობენ, ჯუმბერ პატიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში არც შევარდნაძეს ებრძოდა, არც აბაშიძეს, მით უფრო არც დანარჩენ პრეზიდენტობის კანდიდატებს, 9 აპრილს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ბრძოლა საკუთარ თავთან ბრძოლას უფრო ჩამოჰგავდაო.



სულ სხვა საკითხია, რისთვის იბრძოდა ყოფილი ცეკას მდივანი ზემოხსენებულ არჩევნებში? არჩევნების ბედი თავიდანვე რომ გადაწყვეტილი იყო, პოლიტიკაში კარგად ჩახედულ ბატონ ჯუმბერს იმთავითვე უნდა სცოდნოდა, მით უფრო, აჭარის ლიდერს ორჯერ გაეფრთხილებია თანამებლოკე, ამგვარ ნაბიჯს ნუ გადადგამო? დასამარცხებლად განწირულ "აღორძინებულს", როგორც ჩანს, არჩევნების მწარე შედეგებზე საფიქრალად "დრო არ დარჩენია", ისე კი, თავის დროზე, წინა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსის მქონემ მწარე დამარცხება იწვნია და ამჯერად დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა რომ "მოახერხა", მეტად გაგვაოცა. ჟურნალისტების თვალს "მოფარებულმა" კანდიდატყოფილმა ორი კითხვა თავსატეხად მაინც დაგვიტოვა, ვის ებრძოდა ან რისთვის იბრძოდა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილი?

## ვის ერგო აბაშიძის კუთვნილი ხმები?

ცხადია, ჯუმბერ პატიაშვილს -არა, ყოველ შემთხვევაში, ამაზე ნათლად მეტყველებს აჭარაში მიღებული ხმების ოდენობა. ის ფაქტი, რომ აბაშიძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და პატიაშვილთან უთანხმოებაზე საკმაოდ არაორაზროვნად მიუთითა, შევარდნაძის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამას აჭარის მოსახლეობისათვის საოცნებო კანდიდატის კენჭისყრიდან მოხსნის ინფორმაციის დროული მიუწოდებლობაც დაერთო და პატიაშვილის "დათმობილმა" ხმებმა აბაშიძისათვის "იმუშავა" მაინც, უფრო სწორად კი, გაუქმებული ბიულეტენებით, მაგრამ მაინც ბაბუ დაწინაურდა აჭარაში და პირველობა არავის დაუთმო. ცხადია, ორი ბაბუს შერიგება-მორიგებაზე საუბრებმაც თავისი წვლილი იქონია „ხმების ბედის" გადაწყვეტაში და არჩევნებიც აჭარაში ბატონმა ედუარდმა მოიგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქარი აბაშიძეს

პატიაშვილს შორის უთანხმოების შესახებ სიმართლესთან ახლოს დგას და ცოტას თუ მოვიცდით, ალიანსიც სხვა ბზარებიც თავს სულ მალე შეგვახსენებენ.

## ტ პარიის ოქრო

მე-10 გვერდი

მე-5 გვერდი

## კრიმინალიზმი საქართველოში

## რატომ დაიბარეს ბესო ჯუღელი პროკურატურაში დაკითხვაზე?

ძირითადი ბრალდება ლიბერალ-ეკონომიკური პარტიის თავმჯდომარის ბესო ჯუღელის მიმართ მოსახლეობაში 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირების მოწოდების შემცველი პროკლამაციების გავრცელება უნდა გახლდეთ. თუმცა ჯუღელის მტკიცებით, მას ცილს სწამებენ. ბატონი ბესო არჩევნებს უნდობლობას უცხადებდა და არა ბოიკოტს, ეს კი ერთი და იგივე სულაც არ არის, შეუძლებელია პროკურატურაში ეს არ იცოდნენ, მაგრამ ჯუღელის საქმე მაინც მარტივად და კონკრეტულად გადაწყდა, იგი "მიიწვიეს". ზემოთხსენებული ბრალდება, ალბათ, "სარჩულად" თუ გამოდგება "დამნაშავის" "ცენტრში" მისაყვანად, თავის ჩადენილი მთავარი "ბოროტების" შესახებ კი ჯუღელი, სავარაუდოა, რომ ადგილზე შეიტყობს.

იმასაც ამბობენ, რომ ბოიკოტის მომხრე სხვა პარტიათა ლიდერებიც მიიწვიესო პროკურატურაში და თუ ეს ასეა, ერთ ტაფაში ყოფილან ბესო ჯუღელთან და ეგ არის...

ელექტრონული ვერსია - http://www.opentxt.org.ge/sakartvelo

# "უნიჭობა — უპირველეს ყოვლისა"

## (ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან)

"საქართველო": ბატონო ნოდარ, ამ ორიოდე დღის წინ სახელმწიფო ტელევიზიამ გვიჩვენა თქვენი თავი სობჩაკის წიგნის პრეზენტაციაზე მოსწავლეთა სასახლეში. ერთ კადრში წიგნს ჩასცქეროდით, მეორეში მიკროფონთან დგახართ, მაგრამ ხმა არ ისმის. ეს საეჭვოდ გამოიყურება, ხომ არ თქვით ისეთი რამ, რაც იმ ულტრაშევარდნაძისეულ შეკრებილ საზოგადოებას არ ესიამოვნებოდა?

ნ. ნათაძე: ასეთი რამ გაზეთ "იბერია-სპექტრის"რედაქტორმა, ბატონმა ირაკლი გოცრიძემ თქვა და იგი აუდიტორიამ ტაშით ჩააჩუმა. მან თქვა, 9 აპრილის დანაშაულის გამოძიებაში შევარდნაძის ბრალს გვერდს ვერ ავუვლითო, და ტელევიზიამ ეს დიდი სიამოვნებით აჩვენა. მე სხვა რამ ვთქვი. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მოვალეა-მეთქი ბრალი ოფიციალურად ბრალი დასდოს გორბაჩოვს, პირველ ნომერ დამნაშავეს, რომელმაც იმ დღის ქლეტის ბრძანება გასცა. ეს ვერდიქტი საქართველოს მაშინდელი უზენაეს საბჭოს კომისიაში ამომწურავად დაასაბუთა გენერალ-ლეიტენენტმა ირაკლი ჯორჯაძემ, რომელიც კომისიის წევრი იყო. მან თქვა: თუ გავაანალიზებთ სსრკ შეიარაღებული ძალების სტრუქტურას, დავინახავთ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი თანამდებობა, რომელსაც არმიის ამოქმედების უფლებაც აქვს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისაცო – ესაა უზენაესი მთავარსარდალი, იგივე პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იგივე გენერალური მდივანი ანუ გორბაჩოვიო. გენერალმა დატოვა ეს განცხადება და წავიდა. იმ კომისიაში მეც ვიყავი. მის დაახლოებით ორმოცკაციან შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი სული აღმოვჩნდით, ვისაც გვინდოდა ამ განცხადებისათვის მსვლელობა მიგვეცა: შოთა ნადირაშვილი, სტუდენტი გია მამალაძე, თქვენი მონამორჩილი და, წარმოიდგინეთ – ერთი პატარა რეპლიკის სახით – გიგა ლორთქიფანიძეც კი. განცხადება საქმეში ჩაირთო, მაგრამ მასზე მუშაობა არ წარმართულა. დღეს, ვიმეორებ, გორბაჩოვისათვის ოფიციალური ბრალის დადება საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოს მოვალეობაა. რატომ? იმიტომ, რომ დღეს საქართველოს რუსეთის მხრიდან აგრესია ემუქრება და ჩვენი შანსი, ეს აგრესია არ დაგვუშვათ, ანუ მას გზა გადავუკეტოთ პოლიტიკური მეთოდით. უფრო დიდი იქნება, თუ დღეს კრემლისაგან გამხელით რუსეთის პოლიტიკის ისეთ დიდ ფიგურას, როგორიც გორბაჩოვია. ეს ჩაძირავს და ჯალათი ხომ დღეს შედარებით "თეთრ" ცხენზე ჩანს მსოფლიოს თვალში თავისი "პერესტროიკული" "დამსახურების" გამო.

ამ სისხლიანი თავხედის მხილება პირდაპირი ჩვენებით – და არა მხოლოდ ზემოთმოყვანილი ანალიზური არგუმენტით – დღეს საქართველოში, როგორც მინიმუმ, ორ კაცს მაინც შეუძლია: შევარდნაძეს და პატიაშვილს. მაგრამ არც ერთ მათგანს, როგორც მოგეხსენებათ, ეს დღემდე არ უქნია.

"საქართველო": თქვენი აზრით, რატომ?

"ნ. ნათაძე": იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი დღესაც არ არის თავდახსნილი იმ ფაქტობრივი და ფსიქიკური ბორკილებისაგან, რომელიც მათ იმპერიის ზეობის ეპოქაში ედოთ. ყველა სხვა ბმა და ყველა სხვა გეოგრაფიული "ორიენტაცია", რომელიც ყოველ ქართველ ცეკას მდივანს შეიძლება ჰქონდეს – ბალტიისპირელი ცეკას მდივნისაგან განსხვავებით – ამ ძირითად ჯაჭვთან შედარებით მხოლოდ კოსმეტიკა და სამკაულია.

"საქართველო": ყველამ კარგად ვიცით, რომ შევარდნაძისადმი მიმართული კრიტიკა საქართველოში დღეს ძირითადად მის შინაგან პოლიტიკას ეხება, პირველ ყოვლისა – მის ეკონომიკურ პოლიტიკას, და არა საგარეოს. შინაგან პოლიტიკაში ხელისუფლების ეს როლი მდგომარეობს მაფიური მონოპოლიებისა და კორუფციის მფარველობაში "თავისუფალი ეკონომიკის"კანონთა მიზეზებით. მაგრამ "თავისუფალი ეკონომიკა ხომ დასავლური ცხოვრების პრინციპია და არა რუსული!"

"ნ. ნათაძე" დიახ, ბევრნი მას, პირველ ყოვლისა, შინაგან პოლიტიკას უწოდებენ, რომელიც დასავლური ჰგონიათ. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ჯერ ერთი, შინაგანი პოლიტიკის წარმომადგენელიც საქართველოში დღეს რუსული ინსტრუქციაა და არა დასავლური. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ უფრო ვრცლად. მეორეც, მანკიერი ზოგადი ორიენტაცია და მსხვილ-მსხვილი კონკრეტული შეცდომები შევარდნაძის საგარეო პოლიტიკაში დღეს არანაკლებია, ვიდრე შინაგანში. განსხვავება ისაა, რომ შინაგანში მას უფრო ადვილად ხედავენ, ვიდრე გარეგანში. მოვიყვანთ ორ მაგალითს. პირველი: თავისი ზოზინით რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური უღლის მოცილების საქმეში (ბაზების გაყვანა, რუსეთის "სამშვიდობო" ფუნქციებზე ხელის აღება და სხვა) შევარდნაძემ და მისმა გუნდმა უკვე გააცდინეს, ანუ ხელიდან გაუშვეს მთელი ერთი ეპოქა ახლო აღმოსავლური და ცენტრალურაზიური ურთიერთობების განვითარების პროცესში, რომელიც შეეძლოთ ქართული საქმის წინწაწევისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. სახელდობრ, მათ გააცდინეს ის დრო, როცა აშშ-სა და ირანის ურთიერთობები იმდენად დაძაბული იყო, რომ ირანის სატრანსპორტო თუ სტრატეგიული შესაძლებლობები მთლიანად გამოთიშული იყო როგორც ფაქტორი დასავლეთის ბრძოლაში შუა აზიისაკენ გასასვლელად. დღეს მათი ურთიერთობა გამოსწორების გზაზე დგას. მაშასადამე, საქართველოს როლი და წონა "აბრეშუმის" მარშრუტთა გაკვლევის საქმეში უკვე აღარ არის იმის, ალბათ, ნახევარიც კი, როცა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ იყო.

მეორე მაგალითი. შევარდნაძის პირველი შეხვედრა პუტინთან "ესენგეს" სამიტზე არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის შელახვა იყო, არამედ პოლიტიკის ტრადიციული ფორმებიდან გადახვევაც, როცა ერთი ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა მეორე ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არა თანასწორის ტონალობით, არამედ ლაქუცით საუბარი დაუწყო. საქართველოს ხელისუფალმა იჩქარა თავისი კერძო მოწიწება თუ სიმპათია გამოეჩინა იმ პოლიტიკოსისადმი, რომელსაც უკვე აქვს ზურგზე აკიდებული იმგვარი ჰუმანიტარული ცოდვის ტვირთი, – კერძოდ, ჩეჩნეთში გენოციდის ჩატარებისა და, შესაძლოა, აგრეთვე ოპერაცია "ჩეჩნური კვალის" ჩატარების ტვირთი, – რომელსაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტი არაფერს აპატიებს. ამ საბაბის დრის უკვე ხილული იყო, რომ პუტინი, როგორც რუსეთის მეთაური, ცივილიზებული მსოფლიოს მიერ მხოლოდ მოთმენილი პარტნიორი იქნება და არა თანამშრომლად, თანამოაზრედ ახალი მსოფლიოს თანაშემოქმედად მიჩნეული. ევროსაბჭოს ასამბლეაში ამას წინათ ჩატარებულმა კენჭისყრამ რუსეთის დელეგაციისათვის ხმის ჩამორთმევის საკითხზე ეს ნათლად დაადასტურა. ამგვარად, მცირე ქვეყნის როლი, რომელიც წელან ვახსენეთ, ორმაგად წამგებიანი აღმოჩნდა: ერთი, მან, ასე ვთქვათ, ენა აუსვა დიდი ქვეყნის მეთაურის ფეხსაცხმელს, რითაც თავის თავს მორალური ზიანი მიაყენა, მეორე, მან სწორად ვერ შეარჩია, რომელი მეთაურისათვის მიეგო ეს პატივი და ამით დააზარალა თავისი მდგომარეობა იმათ თვალში, ვისი თანადგომაც ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას ზოგადად, მისი ყველაზე თვალში საცემი ნაკლი ისაა, რომ იგი უმიზნოა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას თავის პოლიტიკაში კურსი არა აქვს, იგი მხოლოდ იმაზეა მიმართული, რომ არსებულმა პიროვნებებმა არსებული სავარძლები შეინარჩუნონ და გზადაგზა სიმდიდრე იშოვონ. დავაკონკრეტოთ, საქართველოს როლს და ადგილს მსოფლიო რუკაზე დღეს, ფაქტობრივად, ოთხი შესაძლო ეკონომიკური და პოლიტიკური ვარიანტი აქვს. პირველი: ყველაზე ადვილი და უვარგისი, რომელსაც შრომა და ბრძოლა არ სჭირდება, – არის ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება დღეს სჯერდება, სახელდობრ, შემდეგი: საქართველო არის არა მწარმოებელი ქვეყანა, არამედ მხოლოდ სატრანსპორტო არეალი ანუ დერეფანი; მისი საზღვრები ფიქტიურია, ძალა-ფიქტიური, ერთიანობა-მყიფე (იგი ფედერაციაზე ორიენტირებული სახელმწიფოა). მეორე ვარიანტი: საქართველო არის მწარმოებელი ქვეყანა. იგი ევროპული ინდუსტრიის ფორფოსტია აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ სწრაფვაში (აქ ხდება, მაგალითად დასავლური მანქანა-დანადგარების აწყობა და აღმოსავლეთისაკენ ექსპორტი, შემდგომში-თანდათანობით საკუთარი როლის გაზრდა ამ საქმეში და ა.შ.). ჩვენი დაცვა ისევ მხოლოდ სხვათა სისტემის მიერ ხდება და საგარეო პოლიტიკაც მხოლოდ სხვათა საზს მიჰყვება. სატრანსპორტო ფუნქცია მას, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც რჩება. მესამე ვარიანტი: საქართველოს რჩება ყველა ზემოხსენებული ფუნქციები. იგი თვით აწარმოებს სტრატეგიულად საჭირო საკვებსა და სხვა სასიცოცხლო პროდუქტს. აქვს საკუთარი სახე ინდუსტრიაში ანუ პარტნიორებს თვითონ ირჩევს. აქვს სტრატეგიულად დაცული საზღვრები, არმია, ანგარიშგასაწევი რეგიონული მასშტაბის ძალა. იგი (კავკასიელ ხალხებთან ერთად) წონადი ადგილობრივი ძალაა, რომელსაც, გარდა თავის დაცვისა, აქვს ტრადიციული გეოსტრატეგიული ამოცანაც მსოფლიო სისტემაში, სახელდობრ, იგი დასავლურ ცივილიზაციას და დემოკრატიას იცავს ჩრდილოეთის (და აღმოსავლეთის) საშიშროებისაგან ანუ ინარჩუნებს ძალთა ბალანსს მათთან და ამ ბალანსზე დამყარებულ სტაბილურ მშვიდობას. მეოთხე: იგივე რაც მესამე, მაგრამ განსხვავებული როლით მსოფლიოს გეოსტრატეგიულ სისტემაში. კერძოდ: საქართველო არის რუსეთის ფორპოსტი და სამხრეთისაკენ მუქარის (ზეწოლის) საშუალება. რუსეთი საქართველოდან ემუქრება ახლო აღმოსავლეთს და იგი, როგორც იტყვიან, "შაპის ქვეშ ჰყავს". ეს უკანასკნელი ვარიანტი საქართველოსათვის მიუღებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი დიდი ალბათობით გულისხმობს საქართველოს მონაწილეობას დიდთა ომში, რომელშიც შეტევის ხაზი მის ტერიტორიაზე გადის და, მაშასადამე, მისთვის გამანადგურებელია. ამავე მიზეზით მიუღებელია საქართველოსათვის დასავლეთის ფორპოსტად ყოფნა (III ვარიანტი) იმ შემთხვევაში, თუ იგულისხმება დასავლეთის შეტევა კავკასიიდან ჩრდილოეთით (და არა თავდაცვა კავკასიის მიჯნაზე): მაგრამ ასეთი პერსპექტივა მოსალოდნელი არ არის. რა თქმა უნდა, ამ ვარიანტთა შორის არჩევანს საქართველოს სახელმწიფოებრივ მიზანთა იერარქიაში წინ უსწრებს ის, რაც ყველა ხალხისათვის და ყველა სახელმწიფოსათვის პირველადი სასიცოცხლო მიზანია: თავისი ტერიტორიის დაცვა, დემოგრაფიული სიჯანსაღე, შინაგანი მთლიანობა, უსაფრთხო დემოგრაფიული სტრუქტურა.

საქართველოს არსებული ხელისუფლების ცნობიერებაში – როგორც ამას ნათლად მოწმობს მისი სიტყვა და საქმე, ამ მიზანთა წარმოდგენა არ არსებობს. ეს, როგორც ვთქვით, დონეზე ტივტივის, სრულებით გაუცნობიერებელი, სტიქიური პოლიტიკაა. არ არის აუცილებელი, ამ პოლიტიკაში მაინცდამაინც შეგნებული ღალატი დავინახოთ. მისი წყაროა, პირველ ყოვლისა, ნიჭის, ჰორიზონტის, პოლიტიკური და ადამიანური ნების დეფიციტი, თუმცა, რასაკვირველია, არც შეგნებული ორგულობის ფაქტორია გამოსარიცხი, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი.

თქვენს კითხვაში შინაგანი პოლიტიკა ახსენეთ. საგარეო ორიენტაციის როლი არც მასში მგონია გამოსარიცხი, როგორც ფაქტორი. საქართველოს ხელისუფლების შინაგანი პოლიტიკა ამ რვა წლის მანძილზე ქვეყნის მიზანმიმართული ეკონომიკური, სტრატეგიული და ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკაა რუსეთის გავლენისადმი მისი შემდგომი დაქვემდებარების მიზნით. კონკრეტულად, მიზანია საქართველოს ნგრევა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს სახელით, რათა ფართო მასაში საბჭოთა იმპერიისადმი და სოციალიზმისადმი ნოსტალგია აღიძრას. ამ ნოსტალგიამ უნდა გამოიწვიოს გამოსვლები, ამბოხებები და მათ შედეგად – დია იმპერიული აგენტურის სათავეში მოსვლა.

"საქართველო": ე.ი. საქართველოს დღეს მტრები მართავენ?

"ნ. ნათაძე": უდავოდ! სამწუხაროდ, ეს ფაქტია – ისტორიაში ძალიან იშვიათი, მაგრამ მაინც ფაქტია, როგორია ასეთი შემთხვევებისათვის პოლიტიკური თეორიის, ეთიკის, ადამიანის ბუნებრივი გრძნობის რეკომენდაციები ცნობილია: მტერი უნდა განადგურდეს. მაგრამ ჩვენს ქვეყანას დღეს ეს სტრატეგია არ არგია–სხვა თუ არაფერი, იმის გამო მაინც, რომ დღეს საქართველოს ჯანსაღ ძალებს ჯერ არ ჰყავთ თავისი ე.წ. "ჩრდილოვანი სტრუქტურები", თავისი მმართველი მექანიზმი, რომელიც დაუყოვნებლივ დაადებს თავის მტკიცე ხელს სახელმწიფოს საჭეს. ამასთანავე, ჩვენთვის დაუშვებელია ყოველგვარი შეტაკება, მათ შორის – შეტაკება საზოგადოებასა და დე ფაქტო ძალაში მყოფ ხელისუფლებას შორის. უფრო მეტიც: ჩვენთვის დაუშვებელია ამ მტრული ხელისუ-



ფლების პოლიტიკური განადგურებაც, ანუ მისი, როგორც ყოველდღიური ცხოვრების მმართველის, უნარიანობის შესუსტება მისი ყოველმხრივი დისკრედიტაციის გზით (მით უმეტეს, რომ ამ მდგომარეობას იგი დღეს უკვე ძალიან მიახლოებულია თავის კორუმპირებულობისა და უნიათობის წყალობით). ჩვენი ამოცანაა მისი მხოლოდ იურიდიული განადგურება როგორც იმ ჯგუფისა, რომლისგანაც დღეს ჩვენი ფაქტობრივი დაიკარგების იურიდიულ გაფორმებას, ანუ ჩვენი ქვეყნის დე იურე დასამარებას ველით. ამისთვის საჭიროა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ თავისი უნდობლობის წერილობით დადასტურება ამ მმართველი ჯგუფის მიმართ და ამით მათთვის ე.წ. თქმა მანდატის მიცემაზე იმ ნაბიჯთა გადასადგმელად, რომლებითაც საქართველოს ზემოთხსენებული დასამარება უნდა მოხდეს. "უნდობლობას ვუცხადებთ არსებულ საარჩევნო კანონს, "უნდობლობას ვუცხადებთ ამ ანტიდემოკრატიული კანონის საფუძველზე არჩეულ პარლამენტს და პრეზიდენტს", "არ ვაძლევთ მათ მანდატს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად"– აი, ის ფორმულირებები ხალხის ნებისა, რომელიც ამჟამად დღის წესრიგში დგას. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დღეს ჩვენს ქვეყანაზე მათი იურიდიული შემოტევის შეჩერება და საფუძვლის შექმნა მათი იურიდიული კაპიტულაციების გასაუქმებლად მომავალში.

ეს კაპიტულაციები მწიფდება. შევარდნაძის ფარულ წერილში საქართველოს ელჩისადმი რუსეთში, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა ერთ-ერთ გაზეთში, პირდაპირაა ნათქვამი, აფხაზეთისა და ცხინვალი ზონის დათმობას ანუ საქართველოს ამ ტერიტორიებთან "სახელშეკრულებო" კავშირის დამყარებას მხოლოდ ის აკლია, რომ ამ აზრისათვის "ხალხის მოწონება" მოხდესო. ეს მრავლისმეტყველი ფრაზა საქართველოს პრეზიდენტს, ამჟამად კი უკვე ყალბი საარჩევნო კანონით დამკვიდრებულ "პრეზიდენტს" აღარც წარმოუთქვამს. ასე, რომ მისი "გენერალური ხაზის" მიმართულება ნათელია.

სადაა ხსნა? ხსნაა ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული სულისკვეთების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ჯგუფების, პიროვნებების ერთ კოალიციად, ერთ ფრონტად გაერთიანება და არსებული ანტიეროვნული (ამჟამად უკვე უზურპატორული) ხელისუფლების შეცვლა. ამის არქმნა, სხვა ყოველივესთან ერთად, სირცხვილიცაა, ვინაიდან ეს კორუმპირებული ჯგუფი, დღეს რომ ქვეყანას მართავს, სრული სნეობრივი, ორგანიზაციული და ინტელექტუალური უძლურების მდგომარეობაში იმყოფება.

ინტერვიუ

*ვალერი ვაშაკიძე:*

# თბილისში მშივრად ყოფნას სჯობს რაიონებში წაბრძანდნენ და წესიერად იცხოვრონ...

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დევნილების მიერ დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ შეტანილ განცხადებებს ობი დაედო.

ქალაქის მერის, სახელმწიფო მინისტრისა და სხვა ამა თუ იმ მაღალი სტრუქტურის წარმომადგენლის სახელზე მიმართვისა თუ თხოვნის ტექსტებიც ამაოდ იწერება...

დაპირება დაპირებად რჩება და იმედი, რომელსაც ამ გასაცოდავებულ ხალხს ატანენ, შარშანდელი თოვლივით ხელში ადნებათ.

საკითხავია, რა ელით ამ ადამიანებს მომავალში – როგორც მაღალი სტრუქტურებიდან ანუგეშებენ, "რამე გამოჩნდება" თუ დღევანდელი მთავრობის შემყურენი, მართლაცდა, საბოლოოდ არიან განწირულები?!

ჩვენ ვეწვიეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ვალერი ვაშაკიძეს.

როგორც გაირკვა, საქართველოს 72 ქალაქსა და რაიონში განსახლებულია 282 ათასამდე დევნილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, მათგან 117 ათასი კაცი კერძო სექტორში, რომლებიც ცხოვრობენ ახლობლებთან და ნათესავებთან ან დაქირავებულ ბინებში. ქალაქ თბილისში რეგისტრირებულია 90 ათასამდე დევნილი, რომელთაგან 35 ათასზე მეტი ცხოვრობს ორგანიზებულად 200 ობიექტში. დღეისათვის დედაქალაქში დაუკმაყოფილებელია და კვლავ გადასაწყვეტია 1146 დევნილი ოჯახის დროებითი განსახლების საკითხი.

კერძოდ, ამჟამად დასაკმაყოფილებელია პირველ რიგში შემდეგი უმწეო ოჯახები:

1. ომში დაღუპულთა 102 ოჯახი.
2. ინვალიდთა და ხებართა 90 ოჯახი.
3. მრავალშვილიანთა 42 ოჯახი.
4. მარტოხელა დედათა 55 ოჯახი.

ბატონი ვალერი მიიჩნევს, რომ საქართველოში არ არსებობს განსახლების პრობლემა.

– თქვენ ვერ დამისახელებთ ქვეყანას, სადაც დევნილი ირჩევდეს, სად უნდა იცხოვროს, – აღნიშნა მან. – ჩვენს სამინისტროს ევალება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განასახლოს დევნილები და არ დატოვოს უბინაოდ.

სერიოზულად დგას დასქმების პრობლემა. დიდ ქალაქებში ძალაუნებურად იმყოფება დევნილების დიდი ტალღა. ჩხოროწყუში, წალენჯიხაში და სხვაგან ჩარჩენილმა ლტოლვილმა თავისი 11-12, ხოლო წინა პერიოდში 7-8 ლარით (პერიოდულად იცვლებოდა ფულადი დახმარების ოდენობა) ვერაფერი ვერ შემატა ოჯახს. აქედან გამომდინარე, სადაც მეტი განძრევის საშუალება, თვითდასაქმებაც შესაძლებელი ხდება, რომ ეკონომიურად ოდნავ გაიუმჯობესოს მდგომარეობა, დევნილებიც იქ ირჩევენ ცხოვრებას.

ამრიგად, დიდ ქალაქებში დევნილების კონცენტრაცია მოხდა.

კვირა არ გაივლის, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტრომ არ მიიღოს ცნობა დროებითი საცხოვრებელი ფართის დაკავების მიზნით დევნილების მიერ ამა თუ იმ ნაგებობაში შეჭრის შესახებ. ეს პრობლემა უმეტესად ლტოლვილთა იქიდან გამოყრით, იშვიათ შემთხვევაში შენობის მეპატრონესთან "გარიგებით" მთავრდება.

როგორც ბატონმა ვალერმა აღნიშნა, ეს შენობა-ნაგებობები, რომლებიც თავის დროზე ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით დევნილთათვის იყო განკუთვნილი, ყველა ათვისებული აღმოჩნდა. დამატებითი კონტინგენტი, რომელიც წლების განმავლობაში ემატებოდა თბილისს, საქართველოს სხვა რაიონებს აკლდებოდა. ახლა მათი განსახლების პრობლემაც დადგა.

აღსანიშნავია ერთი მომენტი. მრავალმა იმთავითვე თავი ნათესავ-მეგობრებს შეაფარა. შემდეგი კი, როდესაც პრობლემების პილიტიკური გადაწყვეტის პროცესი გაჭიანურდა, თავი იჩინა თავოყვარეობის საკითხმა. ისინი ცდილობენ ზედმეტი ტვირთისაგან (როგორც თავად უწოდებენ) გაათავისუფლონ ეს ოჯახები და დამოუკიდებლად იარსებონ. აი, ამ ორმა მიზეზმა – დასაქმების პრობლემამ და კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში ჩვენ ეს პრობლემები გაგვიჩნდა. თბილისში ჩვენ ბინები არა გვაქვს!..

ასეთ ფონზე მეტად შემაშფოთებელია ამ ერისა და ბერისაგან განწირული ადამიანების მდგომარეობა. მომავალი კი იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანს, რომ მასზე სიტყვის თქმაც ძალიან გვიჭირს.

რაც შეეხება პასუხს კითხვაზე, რა ბედი ელით მათ, ბატონი მინისტრის სიტყვებითვე, კომენტარის გარეშე მოგახსენებთ: ამ ადამიანებს ელით ერთი ბედი. თბილისში მშივრად ყოფნას სჯობია რაიონებში წაბრძანდნენ და წესიერად იცხოვრონ!..

*მარინა ჩიტაია.*

# დავით ინჯია გაათავისუფლეს, ფრიდონ ინჯიას კი ეძებენ...



გუშინწინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით პირდაპირ დარბაზიდანვე გაათავისუფლეს სამი თვის წინათ პატიმრობაში აყვანილი დავით ინჯია, რომელსაც პროკურატურამ საპარლამენტო არჩევნების დროს მის ძმასთან, დეპუტატობის კანდიდატთან, ფრიდონ ინჯიასთან ერთად არჩევნებში არეულობის ორგანიზება წაუყენა ბრალად.

საზოგადოებაში და მასმედიაში იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს აქტი პროკურატურამ განახორციელა ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთით, ანუ არჩევნებში ფაქტიურად გამარჯვებულ ფრიდონ ინჯიას და მის ძმას, დავით ინჯიას არაფერში სჭირდებოდათ არჩევნებში არეულობის შეტანა და სავარაუდოდ, ეს მეორე მხარეს, ანუ არჩევნებში მათ მოწინაალმდეგეებს უფრო აძლევდათ ხელს.

სამთვიანი პატიმრობის შემდეგ დავით ინჯიას განთავისუფლებას თავად პროკურატურამაც დაუჭირა მხარი და როგორც ჩანს, ამით ერთგვარად საკუთარი "ცოდვების გამოსყიდვასაც" შეეცადა. მართალია, დავით ინჯია თავდებითაა განთავისუფლებული, მაგრამ იმედია, მისი უდანაშაულობა საბოლოოდ დამტკიცდება და ამაში ადვოკატს და მითუმეტეს, არც მარტვილელ ამომრჩევლებს ეპარებათ ეჭვი. სხვა საკითხია, თუ როდემდე დარჩებიან პროკურატურა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურები პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელ ორგანოებად?

მეორე და უცნაური ფაქტი ისაა, რომ თუ დავით ინჯია ფაქტობრივად გამართლებულია და გარკვეულწილად ეს მისი სასამართლოს დარბაზიდანვე განთავისუფლებითაც დასტურდება, რას ერჩიან მის ძმას, ფრიდონ ინჯიას, რომელსაც სამართალდამცავები იგივე დანაშაულისათვის ეძებენ? სავარაუდოდ, აქ საქმე ალბათ სხვა სახის პოლიტიკურ დაკვეთასთან გვაქვს და ეს დროთა განმავლობაში გამოიკვეთება.

*საკ. კორესპოდენტი*

# ნადით, ნადით...

ძვირფასო მკითხველო, თავს უფლებას მივცემ და ერთ საინტერესო შემთხვევას შეგახსენებთ: თავის გარეგნობაზე უზომოდ აღშფოთებულმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობა. ჰოდა, გადაწყვიტა ჩიტად გცეულიყო. სამწუხაროდ (უფრო საბედნიეროდ) ჩიტებმა აითვალისწუნეს და თავის რიგებში არ მიიღეს. საცოდავმა, ვერც უწინდელი სახე აღიდგინა და ერთ ძველ ნანგრევს შეაფარა თავი..



არ გეგონოთ, დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთელის მიბაძვას ვცდილობდე, უბრალოდ, სიუჟეტი შეგახსენეთ, რათა უკეთ მიმიხვდეთ, თუ რისი თქმა მსურს.

საქმე ისაა, რომ ამასწინათ, კერძოდ, 15 მარტს, ტელეკომპანია 'რუსთავი–2" - ის 'ღამის კურიერში", 'დიდმა ქართველმა პოეტმა" კოტე ყუბანეიშვილმა სრულიად საქართველოს შემოქმედებითი გენია 'შეუდარებელი" სიტყვებით შეამკო. მკითხავთ ალბათ, 'საიდან და რატომ ასეთი ცინიზმი?!.." არ ვიცი რა შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველოში პოეტები, კი არა, 'ბანძები" არიან.. არა, საზოგადო მოღვაწეები და ერის მამები კი გვყავდნენ, მაგრამ პოეტები–არასოდეს".

საკმარისია!..

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, გახშირდა თავდასხმა ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე(რომელიც თურმე, 'უდიდეს" რუს პოეტს მაიაკოვსკის არ შეახვედრეს, და რომელიც, ერთი უბრალო სოფლის ბიჭი ყოფილა).

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიღაც საგანგებოდ ცდილობს წაგვართვას ის, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ძირფესვიანად აღმოფხვრას ჩვენი წარსული...

ზარებია შემოსაკრავი, ჩვენს გენურ კოდს საფრთხე ემუქრება, მომავალი თაობების ცნობიერებიდან თანდათან წაიშლება ეროვნული სიამაყე. დიახ, მგონი მხოლოდ ეს საჭირბოროტო საკითხილა გვაძლებინებს ამ 'უთავბოლო და უსწორმასწორო წუთის–სოფელში".

ჩემო საყვარელო ხალხო, ალბათ, ყურები უნდა დავიცოთ და თვალებზე ხელები ავიფაროთ, თორემ ვინიცობაა დავიჯეროთ, რომ თურმე, პოეტი არ ყოფილა შოთა რუსთაველი, პოეტები არ ყოფილან: დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა–ფშაველა, გრიგოლ ორბელიანი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვანი... ვაი და ვაი, საქართველოვ და ჩემო მრავალტანჯულო ხალხო, ვისი სათრევი და სალანძღავი გამხდარხარ?!

ერთიც, ბატონ კოტეს ძალზედ ჰყვარებია რუსული პოეზია, მას ხომ 'ევგენი ონეგინის" სტილში 'პოეზიის ბრწყინვალე" ნიმუშიც აქვს შექმნილი. არა, რა თქმა უნდა, დიდებულია, ბატონო კოტე, რუსული პოეზია, მაგრამ ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ: "Когда русские по лесам бродили, тогда грузины евангелие переписывали"!

და ბოლოს, ყველას, ვისაც მიგაჩნიათ, რომ ჩვენ, ქართველებს პოეტები არ გვყავს, მოგმართავთ იმ ერის შვილი, ბატონი კოტეს სიტყვებით, რომელი 'ერის დებილობასაც საზღვარი არ გააჩნია," ბატონებო, წაგიკითხავთ ალბათ და გინახავთ მხატვრული ფილმი 'ქაჯანა", ჰოდა, წადით!.. წადით!.

*ლოლა სიხარულიძე.*
*თ.ს.უ. ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი*

# აკაკი ბაქრაძის ხსოვნას



ასეთი სათაურით გამოიცა მცირე ფორმატის წიგნი, რომელიც სრულიად საქართველოს დიდ ტკივილს იტევს მისი ღირსეული შვილის, თვალსაჩინო მწერლისა და მოაზროვნის, საზოგადო მოღვაწის, მამულისადმი სამსახურში დამაშვრალი ადამიანის, აკაკი ბაქრაძის გარდაცვალების გამო. წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები, სამძიმრის სიტყვები და ყველა მათგანში ხაზგასმულია ის დიდი ღვაწლი, რაც ბატონმა აკაკიმ დასდო ქართულ მწერლობას, მეცნიერებას, აზროვნებას და ერის გამოღვიძების საქმეს.

წიგნის ბოლო გვერდზე დასტამბულია ბატონი აკაკის სიტყვები, რომელიც ფაქტიურად ანდერძია საქართველოს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის: "ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით. თითოეულმა თავისი ნიჭი და უნარი მთლიანად მას უნდა მოვახმაროთ. თუ თავის მოვალეობას ყველა პირნათლად მოიხდის, ეს ერის სამსახური იქნება, მაშინ არსებული სინამდვილეც უკეთესი გახდება და საერთო საქმეც წინ წავა".

*აკაკი ბაქრაძე.*

# იცნობ მეზობელს?! ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?

**წერილი 7. რუსეთის თანამედროვე შეიარაღებული ძალები და საქართველოს თავდაცვის ერთი აქტუალური პრობლემა.**

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, დღევანდელი რუსეთის შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ცივი ომის პერიოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს. სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 1991 წელთან შედარებით მისი პირადი შემადგენლობის რიცხოვნება თითქმის 3-ჯერაა შემცირებული, სტრატეგიული შეიარაღება – 2-ჯერ და მეტად, ჯავშანსატრანსპორტო ტექნიკა – 3-3,5-ჯერ, საველე არტილერია – 2,2-ჯერ, ოპერტიულ-ტაქტუკური სარაკეტო კომპლექსები – 2,7-ჯერ, საბრძოლო თვიმფრინავები და საჰაერო თავდაცვის საზენიტო სარაკეტო კომპლექსები – 4-ჯერ, ტაქტიკური წყალქვეშა ნავები – 3-ჯერ, მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდები – თითქმის 5-ჯერ და ა.შ.

ამ შემცირებების ძირითადი მიზეზებია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოსკოვის პოლიტიკური მადა, და ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავინდებურად რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სამხედრო სახელმწიფოდ და შეუძლია ადექვატური პასუხი გასცეს მისი სასიცოცხლო ინტერესებისადმი წამოჭრილ მუქარებზე ან საკუთარი ინტერესების დასაცავად გარკვეულ ფარგლებსა და პირობებში დაეყრდნოს სამხედრო ძალას, რაც უთუოდ გასათვალისწინებელი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის.

იმავე ლონდონური წყაროების მონაცემებით, 1998 წელს რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა იყოს დაახლ. 1159000 ადამიანი (ანუ მოსახლეობის 0,8%); შეიარაღებაში კი შედიოდა 756 ?? ბალისიტური რაკეტა; 130 სტრატეგიული ბომბდამშენი (მათგან 44 უკრაინაში); 26 სტრატეგიულ წყალქვეშა ნავში განლაგებული 412 ბალისტიკური რაკეტა; 100 რაკეტსაწინაალმდეგო კომპლექსი; 15500 საბრძოლო ტანკი; 263000 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა; 28700 საველე საარტილერიო სისტემა; 316 ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი; შორეულ, ტაქტიკური, საზღვაო და საჰაერო თავდაცვის ავიაციის დაახლ. 4000 საბრძოლო თვითმფრინავი; 3000-ზე მეტი ვერტმფრენი (მათგან 1000-ზე მეტი დამრტყმელი); სახმელეთო და საჰაერო თავდაცვის ჯარების 4200-ზე მეტი საზენიტო სარაკეტო კომპლექსი; 72 ტაქტიკური წყალქვეშა ნავი; 44 მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდი; 120-ზე მეტი მცირე ხომალდი/კატარღა და სხვა შეიარაღება.



ეს ძალები და საშუალებები, რუსული სარდლობის შეხედულებისამებრ, განაწილებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამასთანავე, მის ევროპულ ნაწილში მოქმედებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებისა (CFE ხელშეკრულება) და ტაშკენტის შეთ ნხმების თანახმად დადგენილი ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების შეზღუდვები. მათი გათვალისწინებით, რუსეთს, ურალის ქედის დასავლეთით მდებარე თავის ტერიტორიაზე რეგულარულ საჯარისო ნაწილებსა და სპეციალურ საწყობებში შეუძლია განლაგებული ჰყავდეს არაუმეტეს 6400 საბრძოლო ტანკის (მათგან არაუმეტეს 4975-სა რეგულარულ ნაწილებში), 11480 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის (10525), 6415 საველე საარტილერიო სისტემის (5105), 3450 საბრძოლო თვითმფრინავის და 890 დამრტყმელი ვერტმფრენისა. და უნდა ითქვას, რომ რუსული სარდლობა ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით მასზე დაკისრებულ ამ მოვალეობებს. ანუ ქვეყნის ევროპულ ნაწილში განლაგებული ჩვეულებრივი შეიარაღების საერთო რაოდენობა ჯდება აღნიშნულ ქვოტებში, ხოლო ჯავშანსატანკო და საარტილერიო შეიარაღების დანარჩენი (უმეტესი) ნაწილი განლაგებული ჰყავს CFE –ის ზონის გარეთ, ანუ ურალის ქედის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე.

იმავე CFE ხელშეკრულების დადებისას, თურქეთისა და ნორვეგიის დაჟინებული მოთხოვნებით საბჭოთა კავშირს (შემდგომში რუსეთს) შეუზღუდეს ჯავსანსატრანსპორტო და საარტილერიო შეიარაღების ქვოტები ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე. სახელდობრ, ტაშკენტის შეთანხმებით რუსეთს ორივე ფლანგზე (ანუ ლენინგრადისა და ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქებში) შეუძლია ყავდეს რეგულარულ ნაწილებში არაუმეტეს 1300 ტანკის, 1380 ჯავშნიანი საბრძოლო მანქანის და 1680 საველე-საარტილერიო სისტებისა. გარდა ამისა ლენიგრადის სამხ. ოლქში ნებადართულია სპეციალურად მოწყობილი და მინიშნული საწყობების შექმნა 2000-მდე ერთეული ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე საარტილერიო შეიარაღებისათვის.

სამხრეთ ფლანგზე ასეთი საწყობების შექმნა CFE ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ოდესის სამხედრო ოლქში, რომლის ქვოტებიც შემდგომ უკრაინას გადაეცა, საკუთრივ რუსეთის სამხრეთ საიონებში კი მძიმე ტექნიკისა და არტილერიის დამატებითი რაოდენობის დასაწყობება ნებადართული არ არის. თუმცა ამის არც დიდი საჭიროებაა, ვინაიდან ჩრდილო-კავკასიის უშუალო მახლობლობაში მდებარეობს ვოლგისპირეთსა და ურალის სამხედრო ოლქები, საიდანაც უმოკლეს ვადებშია შესაძლებელი საჭიროების შემთხვევაში დიდი რაოდენობით მძიმე შეიარაღებისა და დამატებით დივიზიებისა და ბრიგადების შემოყვანა. ასეთი რამ ჩვენს თვალწინ უკვე განნახორციელა რუსეთის სარდლობამ, როდესაც დაღესტან-ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიარაღება და დამატებით შენაერთები შემოიყვანა დამოუკიდებლობის მოსურნე ჩეჩნეთის დასამორჩილებლად.

მაგრამ ისევ საფლანგო რაიონების რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღების ქვოტებს დავუბრონდეთ. წინა წერილში ჩვენ ვთქვით, რომ 1992 წლის მაისში ტაშკენტის შეთანხმების დადებისას მოხდა მანამდე წელიწადნახევრით ადრე დადებული CFE ხელშეკრულების გადასინჯვა, რომლის ძალითაც რუსეთსა და უკრაინას საფლანგო რაიონებში ჩვეულებრივი შეიარაღების ქვოტები და ამ გაზრდის შედეგები აისახა ტაშკენტის შეთანხმებით ამ სახელმწიფოებისათვის შესაბამის რაიონებში გასალაგებელი ჯავშანსატანკო და საარტილერიო შეიარაღების მაქსიმალური რაიოდენობის ნებადართული დონეები რუსეთისათვის მათი რიცხობრივი მაჩვენებლები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.

ახლა თუ კი გადავხედავთ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ 1998 წლის დასაწყისში ვენაში (ეუთო-ს ხელმძღვანელობაში) წარდგენილ ნოტიფიკაციის დოკუმენტს, რომელშიც ასახულია იმ დროისათვის რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების მდგომარეობა ქვეყნის ევროპულ ტერიტო-

გაგრძელება მე-6 გვ

# როდემდე ვასაღოთ სხვა ქვეყნების მომწამვლელი პროდუქტები?

უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად შეირყა ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების ჩვეული რიტმი. ვისაც ერთხელ მაინც დაკვირვებული მზერა მიუპყრია დედაქალაქისათვის, დამეთანხმება, ჩვენი ყოფიერება გაჭირვების ყოველგვარ ზღვარს სცილდება... უკიდურესობამდე გვიჭირს!.. თუმცა შესაძლოა, მავანი შემედაოს, უკიდურესი რა უნდა იყოს ამ უკიდურესობათა ქვეყანაშიო?!

ლამისაა მთელი ქალაქი გამათხოვრდეს!

დღითიდღე მატულობს სამათხოვროდ ხელებგაწვდილი ადამიანების რაოდენობა... ყოველდღიური პრობლემებით თავმობეზრებულებს ზოგჯერ საკუთარი სინდისის წინაშე გვაშიშვლებენ – ამ გაჭირვებულ ყოფაში არაფრისმქონენი ხან ჯიბეებს ამოვიბერტყავთ, უკანასკნელ გროშებს გავიმეტებთ და ხანაც ცივად, უსიტყვოდ გვერდს ავუვლით", თითქოსდა, ვერც ვამჩნევთ!..

საკუთარ უბადრუკობაზე გვეტირება...

ოდესღაც ქედმაღალი და ულამაზესი დედაქალაქი სავაჭრო დაბად გადავაქციეთ.

სულო და გულო, რა არ იყიდება და სად არ იყიდება!

უძინარი, გამტვერილი, ფლოსტებშემოხეული ჩვენი ქალები იაფფასიანი კამფეტებით, ნამცხვრებითა და წამლებით დატვირთულები ხონჩებით ხელში გარბი-გამორბიან შუკიდან შუკაში, ქუჩიდან ქუჩაში, ვაგონიდან ვაგონში...

ვინაც ცოტათი მაინც შეძლო თავისი უბადრუკი მდგომარეობის გამოსწორება და რის ვაი-ვაგლახით მცირეოდენი თანხის შეგროვება, ქუჩიდან სავაჭრო ჯიხურში "გადაბარგდა".

ქალაქის მერიისათვის თბილისის "ზედმეტი სიმახინჯისაგან" გათავისუფლების ცდა ჯერჯერობით მარცხით მთავრდება. გარემოვაჭრეებმა, ცოტა არ იყოს, წაუყრუეს მერიის მუქარას, მათთვის მიუღებელი ძალით რომ ცდილობს ამ ადამიანებისათვის სათანადო ადგილის მიჩენას.

აღნიშნული პრობლემის გარშემო საგრძნობლად დაიძაბა ურთიერთობა თბილისის მერიასა და გარემოვაჭრეებს შორის. ჩვენ ვეწვიეთ ქალაქ თბილისის მერიის ვაჭრობის, მომსახურებისა და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების საქალაქო სამსახურის უფროსს ომარ კიზივაძეს.

– ჩვენ დღეს იმდენი თავისუფალი ადგილი გვაქვს, რომ გარემოვაჭრეების დატევა ბაზრებში, სრულებით არ წარმოადგენს პრობლემას, – აღნიშნა ბატონმა ომარმა. – წლების მანძილზე მერიამ 8-9 დადგენილება გამოუშვა, მაგრამ პრაქტიკულად ამ საკითხის მოგვარებისაკენ ნაბიჯიც ვერ გადავდგით. აქ ერთმანეთზე გადაჯაჭვულია სხვადასხვა პრობლემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დევნილების პრობლემა. ისინი გარემოვაჭრეების 10-15%-ს შეადგენენ. რაც შეეხება თბილისელებს, მცირედი ნაწილია და უმეტესობას რაიონებიდან ჩამოსული მოსახლეობა წარმოადგენს. ეს ის კატეგორიაა, რომელიც ბოლო წლების კატაკლიზმების შედეგად დარჩა სამსახურის გარეშე და ბედის საძიებლად თბილისში ჩამოვიდა.



მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ ხერხდება გარემოვაჭრეების გადაყვანა ბაზრებში, სადაც უამრავი თავისუფალი ადგილია. აქ თავს იჩენს გადასახადის პრობლემა. თუკი გარემოვაჭრეს თავის "უკანონოდ დაკავებული" ადგილი სულ რაღაც 1 ლარი უჯდება, ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრის ოფიციალური გადასახადი 10 ლარამდე ადის, რის გადახდასაც, ცხადია, ის ფიზიკურად ვერ შეძლებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოში გარევაჭრობა ერთ-ერთ პრობლემატური თემაა და მისი გადაჭრა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. დამეთანხმებით, მერიას სერიოზული ღონისძიებების გატარება მოუწევს, რომ ერთხელ და საბოლოოდ აღიკვეთოს ქაოსს დამსგავსებული ვაჭრობა და ქალაქი სიმახინჯისაგან გათავისუფლდეს. არ შეგვიძლია არ დავემოწმოთ ბატონ ომარ კიზივაძეს:

– ის, რაც, დღესდღეობით ხდება, გარევაჭრობა არ არის! გარევაჭრობა სხვა მცნებაა. იგი მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, მაგრამ არის რეგულირებადი და ნორმირებული ფორმით. ამიტომ, ის რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება და მისთვის შესაფერისი მცნების გამოძებნაც კი შეუძლებელია. პირველ რიგში უკანონოა დგომა, ამავე დროს დაუბეგრავია. არც ერთი თეთრი არ შედის სახელმწიფოს ბიუჯეტში. ეს არის უკანონო ვაჭრობა. ცალსახად მერია მიმართულია იმისაკენ, რაც შეიძლება მალე გადაწყდეს ეს პრობლემა. სქემატურად ყველაფერი გაკეთებულია და შევეცდებით, გარეთ მდგომ ადამიანებს სათანადო ადგილი მივუჩინოთ ისე, რომ ამით ისინი არ დაზარალდნენ.

იბადება კითხვა: ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც კალიასავით მოედვნენ დედაქალაქს და საკუთარ ქვეყანაშივე ასე ერთბაშად იქცნენ "ზედმეტებად?! თუკი შევეცდებით მათი წარსულის გამოქექვას, მეტად სავალალო პასუხს მივიღებთ: დღევანდელი ქუჩის ვაჭრები გუშინდელი ექიმები, მედდები, პედაგოგები და მეცნიერმუშაკები არიან!.. ადამიანები, რომლებსაც ხელფასები წაართვეს, არჩეული პროფესია სამარცხვინოდ გაუუქმეს და ადამიანობის განმსაზღვრელი ყოველგვარი ატრიბუტისაგან განუკითხავად "გაღლიტეს"...

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ქართველი მწერლის რამდენიმე წლის წინ ნათქვამი ფრაზა:

"ადამიანების უკმაყოფილება თავისით კი არ იბადება. თუ საშუალო პირობებს მაინც არ შეუქმნი, თუ საკმაო ხელფასს არ მისცემ, ხალხი ეცდება მაინც იშოვოს იგი და აკრძალულ ხერხებს მიმართავს. მთელი უბედურება ის არის, რომ ამართლებს თავის საქციელს, აბა, შიმშილით ხომ არ მოვკლავ შვილებსო, ამბობს. მისნაირი სიტყვები თუ აღზრდა მთელს სხეულში გაუჯდება სწორედ იმ შვილებს, მერე შვილიშვილებს და იწყება საზოგადოების გადაგვარება, როცა სიტყვა "პატიოსნებას" ფასი ეკარგება, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე ძვირი უჯდება სახელმწიფოს".

დამეთანხმებით, საქართველოში სიტყვა "პატიოსნება" დიდი ხანია, რაც გადაგვარდა!.. საკმაოდ გაიდგა ფეხი და ძალაშიც დამკვიდრდა "აკრძალული ხერხებით" მოპოვებული ორიოდე გროში, რომელსაც პირობითად "ხელფასს"ვეძახით. როგორც იტყვიან, პურის ფული რის ვაივაგლახით, მაგრამ მაინც კეთდება!.. ასე ირჩენს თავს მოსახლეობის 90% ანუ სათვალავში უკვე არჩასათვლელი და ზედმეტად ქცეული ბრბო...

ქვეყანა კი, სადაც რამდენიმე წლის წინ ეროვნული წარმოება და სოფლის მეურნეობა ყვაოდა, დღეს მომწამვლელი, იაფფასიანი პროდუქტების სარეალიზაციო ბაზრად არის გადაქცეული!

მრავალ კითხვას შორის: – როდემდის? – კვლავ პასუხგაუცემი რჩება...

*მარინა ჩიტაია*

# კრიშნაიზმი საქართველოში

—ბატონო თეიმურაზ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ისეთ რელიგიურ ორგანიზაციებზე როგორებიც არიან: იეჰოვას მოწმეები და ბაპტისტები, მოდით, ამჯერად ვისაუბროთ კრიშნაიდებზე. რა იცით მათ შესახებ?

— კრიშნაიდთა ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც



ჩემთან სრულიად შემთხვევით, თავიანთი რელიგიური წიგნების გასავრცელებლად მოვიდა და შემდეგ საუბარში ჩაება, აღელვებულები ლაპარაკობდნენ თავიანთ პრობლემებზე, იმ უსამართლო დევნაზე, რომელსაც მიმართავდნენ მათი ორგანიზაციის მიმართ არა მარტო ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ უკანასკნელ ხანს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნიც.

იმ დროისათვის მე ჯერ კიდევ ცოტა ვიცოდი "კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" შესახებ. წაკითხული არ მქონდა მათი მოძღვრების უმთავრესი წიგნები. ჩემთვის გაუგებარი იყო ის ზეაწეული, აღტკინებული ტონი, ის ენთუზიაზმი და თავისი მოძღვრების უპირატესობის რწმენა, რომელსაც ისინი დაუფარავად და ხაზგასმით გამოთქვამდნენ. ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებებით მათი აღგზნებული ენთუზიაზმი მივამსგავსე პირველ ქრისტიანთა ენთუზიაზმს, ხოლო მე, როგორც გვიან მივხვდი, ალბათ გამოვდიოდი რომაელი ხელისუფლების როლში, რომლებიც გაოცებით უყურებდნენ პირველ ქრისტიანთა საოცარ მოქმედებას და მათი ქადაგება სრულ უაზრობად და სიმახინჯედ მიაჩნდათ. მათი შემხედვარე გაკვირვებული ვფიქრობდი, თუ როგორ შეიძლებოდა მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილ კაცს ერთბაშად დაევიწყებინა თავისი რწმენა, მამაპაპური ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი და ასეთ დონეზე ეერთგულა ჩვენთან ახლადმოფენილი რელიგიური მოძღვრებისათვის.

პირველ გაცნობას ჩემი პირველი მოწვევა და ვიზიტი მოჰყვა გაიშნავთა ანუ კრიშნაიდთა საკრებულოში. სამლოცველო ალბათ ძალზე სმამაღლა არის ნათქვამი. ცხადია, იგი ნაკლებად ჰგავდა გაიშანთა მიერ ინდოეთში — ბომბეიში, მაიპურში და ვრინდავანდში აშენებულ ტაძრებს, რომლებიც ათეულობით მილიონი დოლარი დაჯდა. მაშინდელი თბილისური სამლოცველო წარმოადგენდა მორწმუნეთა მიერ დაქირავებულ პატარა კერძო სახლს ვეძისის უბანში, რომელიც შემოსასვლელის, ორი ოთახისა და სარდაფისაგან შედგებოდა. შესასვლელში ფეხსაცმელები გავიხადეთ. ოთახებში ნოხები იყო დაგებული. ისმოდა ინდური მუსიკა. წინა ოთახში შეგეძლოთ შეგეძინათ კრიშნაიდთა წიგნები, ჟურნალები, კალენდრები კრიშნას გამოსახულებით, ინდური ვეგეტარიანული სამზარეულოს რეცეპტები, ქვემოთ კი — სარდაფში მზადდებოდა პრასადი, "ღვთის წყალობა", სპეციალური რეცეპტით შემზადებული საჭმელი, რომელიც ხორცეულის, თევზეულის, კვერცხისა და სხვა, ვაიშნავისათვის აკრძალული პროდუქტების გარეშე იყო გაკეთებული და შედგებოდა ბრინჯის, ბოსტნეულის უმეტესად ჭარხლის, სტაფილოსა და ხილისაგან. ხილისაგან იყო დამზადებული წვენიც. მეორე, უფრო მოზრდილ ოთახში თვით სამლოცველო იყო მოთავსებული. საკურთხეველზე ფარდა იყო ჩამოფარებული და იქვე იყო კრიშნას, პრაბჰუპადას და სხვა ჰურუების სურათები. სამლოცველოში საკმევლის მძაფრი სუნი იდგა. ლოცვის დაწყების წინ ისმოდა ჩვეულებრივი საუბარი. რომელიღაც სტუმარი ცდილობდა ეკამათა ერთგულებთან, როგორც გავარჩიე, ბიბლიიდან მოტანილი სიუჟეტით ცდილობდა რაღაცის დამტკიცებას, გარკვეული პარალელების გავლებას. მეორე კუთხეში ისმოდა კითხვები, მასზე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი და პასუხები... შემდეგ დაიწყო ლოცვა, რომელშიაც მონაწილეობდა მუსიკალური ინსტრუმენტები: ინდური გამონი — ვინა, კარატალები (ხელის პატარა სპილენძისაგან გაკეთებული თეფშები), მრიდანგი (დოლი), ლოცვას უძღვებოდა ერთ-ერთი ინიცირებული, როგორც შემდეგ ამიხსნეს, სოხუმიდან ჩამოსული ბერძენი — სახელად ადიტი, მასაც დხოტი (ინდური ტანსაცმელი) ეცვა, კისერზე კრიალოსანი ჰქონდა, ხელში მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა. იგი სთავაზობდა თავის ერთგულებს ქადაგების თემას, ლოცვის რიტმს, მანტრების წარმოთქმის რიგს, დანარჩენები მიჰყვებოდნენ მას. ლოცვა შედგებოდა ღვთის სახელის გაუთავებელი ხსენებისაგან: "ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა, კრიშნა, კრიშნა, ჰარე, ჰარე! ჰარე რამა, ჰარე რამა", რამა, რამა, ჰარე, ჰარე!". ლოცვას თან სდევდა დამსწრეთა რიტმული ტაში. ერთგულები თანდათან ექსტაზში შედიოდნენ. მათი აღგზნებული სახეები სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა.

— როგორი იყო ვაიშნავთა ანუ კრიშნაიდთა ეროვნული შემადგენლობა?

— კრიშნაიდთა ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი აღმოჩნდა. მათ შორის არიან: რუსები, ბერძნები, სომხები, ნაწილი ქართველი იყო. თუმცა აქ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. მთავარი მათთვის კრიშნას უმაღლეს ღვთაებად აღიარება და თაყვანისცემა იყო.

გაკვირვებით ვუყურებდი ქართველ ჭაბუკებსა და გოგონებს, რომელთა წინაპრები ჩვეულებრივი ქრისტიანები იყვნენ, როგორი თავდადებით, ენთუზიაზმითა და ერთგულებით ემსახურებოდნენ კრიშნას, მათთვის და მათი მამა-პაპისათვის უცხო რწმენას, ტრადიციებსა და ადათებს. საოცარი ის იყო, რომ კრიშნას თაყვანისცემით გართულები არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ იმას, რაც იმ დროისათვის თბილისის ქუჩებში და საერთოდ მთელ საქართველოში ხდებოდა. მათთვის ეროვნული მოძრაობა თითქმის საერთოდ არ არსებობდა. უფრო გვიან, ერთმა ერთგულმა, რომელიც 1990 წლის 23 ივნისს სოხუმში გამართულ რათაიატრას დღესასწაულის შესახებ მიყვებოდა, მითხრა, რომ შეტაკება ჰქონდა "არაფორმალებთან", რომლებიც მათ კოსმოპოლიტობას აბრალებდნენ. მისივე თქმით, მათთან ინდოეთიდან ჩამოსული იყო პურუპოპალა კრიშნა გოსვამი, რომელმაც არ გვირჩია საბჭოთა კავშირიდან გასვლა, სულ ერთია, თქვენ რუსეთი არ გაგიშვებთო და ამას კი დიდი სისხლისღვრა მოჰყვებაო. ჩემს კითხვაზე — "ვაიშნავთა მოძღვრების გავრცელებისათვის ალბათ უკეთესია ერთიანი დიდი ქვეყანა" — ერთგულმა დადებითად მიპასუხა. "ამ ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ საჭიროა ვაიშნავას მოღძვრების გავრცელება და სწრაფად ვრცელდება კიდევაცო. ახლა ჩვენ არ ვჩანვართ, მაგრამ მომავალში გმოვჩნდებითო", — დაამატა მან.

შესვენებისას, ლოცვასა და ლოცვას შორის, მოიტანეს არასადი. ხელის წრიული მოძრაობით იგი ჯერ კრიშნას შესთავაზეს, მერე ჩვენ მოგვაწოდეს.

არ დავმალავ, ძალზე უგემური მეჩვენა. დამამშვიდეს, შეუჩვეველი ხარო. დატოვებაც არ შეიძლებოდა. თუ დატოვებ, სახლში უნდა წაიღო და ფრინველებს უწილადოო. დიდი გაჭირვებით შევჭამე. ლოცვა 4 საათს გაგრძელდა. ფეხზე წამომდგარმა მუხლები ძლივს გავმართე. ერთგულები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ქუჩაში ხალხს შეერივნენ. ვხედავდი, როგორი საოცარი უპირატესობის გრძნობით მიდიოდნენ, რადგან დღეს კარგად ასიამოვნეს. კრიშნა თავისი ლოცვით, ეს კი ერთგულების ყველაზე დიდი მოვალეობაა მათთვის.

კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო. მე კიდე დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ვაიშნავთა მოძღვრებაში ასე თუ ისე გავრკვეულიყავი. მათთან შეხვედრებიდან რამდენიმე წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე უფრო საფუძლიანად გავეცანი კრიშნაიდთა სარწმუნოებას, მის რელიგიურ წიგნებს და ასევე იმ დოკუმენტებს მათ შესახებ, რომლებიც ჩემს ხელში სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით მოხვდა.

— რადგან თქვენ უკვე საფუძვლიანად შეისწავლეთ კრიშნაიდთა სარწმუნოება, მაშინ მოგვიყევით ამ მიმდინარეობის წარმოშობის ისტორია. ვინ არის ფუძემდებელი?

—„კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" დამაარსებელი ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა დაიბადა 1896 წელს ინდოეთში, კალკუტაში. 1922წელს იგი პირველად შეხვდა თავის სულიერ მოძღვარს შრილა ბჰრაქტისიდჰანტა სარასვატი გოსვამის. ეს უკანასკნელი ცნობილი მეცნიერი და მრავალი ვედური ინსტიტუტების დამაარსებელი იყო. შრილა პრაბჰუპადა მალე მისი მოწაფე ხდება. 1933 წელს იგი ინიცირებული იქნა ქ. ალაჰაბადში. მომდევნო წლებში დიდ მუშაობას ეწევა ვედური სიბრძნის ინგლისურ ენაზე გავრცელებისათვის. წერს თავის კომენტარებს უძველეს ინდურ რელიგიურ წიგნებზე. 1944 წელს შრილა პრაბჰუპადა იწყებს ინგლისურენოვანი ორკვირეული ჟურნალის „უკან ღმერთებთან" გამოცემას (ჟურნალი დღესაც გამოდის დასავლეთში 50-ზე მეტ ენაზე).

1950 წელს იგი ტოვებს ოჯახს და სახლდება წმინდა ქალაქ ვრინდავანდში, სადაც ცხოვრობს ტაბარ რადჰა—დამოდარაში და ეწევა სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ცხრა წელი ვანაპრასტჰას (ოჯახიდან განდგომილის) წესით ცხოვრობდა, ხოლო 1959 წელს მან მიიღო სრული ალკკეთის აღთქმა (სანიასა), რის შემდეგაც იგი აგრძელებს მუშაობას "შრიმად-ბჰაგავიტმის" მრავალტომეულის თარგმანზე, სხვა ნაწარმოებზე, თარგმანებსა თუ კომენტარებზე.

1965 წელს შრილა პრაბჰაპადა ჩადის აშშ-ში, ნიუ-იორკში, როგორც მისი ბიოგრაფოსები აღნიშნავენ, მას იმ დროისათვის არავითარი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ, მან მაინც შესძლო დაეარსებინა "კრიშნას ცნობიერების საზოგადოება". მის ქადაგებას ამერიკაში, სრულიად მოულოდნელად, დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი დარჩა ამერიკაში 1977 წლის 14 ნოემბრამდე. ამ დროის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით "კრიშნას ცნობიერების საზოგადოება" მსოფლიო გაერთიანებამდე გაიზარდა. მასში უკვე შედიოდა ასზე მეტი აშრამი, სკოლა, ტაძარი, ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ერთობა. გარდა ამერიკისა, აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა თვით ინდოეთში, სადაც რამდენიმე დიდი საერთაშორისო კულტურული ცენტრი შექმნა, კერძოდ დასავლეთ ბენგალიაში, ბომბეიში, ხოლო გრინდავადში აშენდა კრიშნა — ბალარამის მშვენიერი ტაძარი და სასტუმრო.

ბიოგრაფები განსაკუთრებით აღნიშნავენ მის მრავალრიცხოვან წიგნებს ვედური ფილოსოფიისა და კულტურის დარგში, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა, მან მოასწრო 12 წლის მანძილზე მსოფლიოსათვის თოთხმეტჯერ შემოევლო ლექციებით და თავისი მოძღვრების ქადაგებით.

1977 წელს შრილა პრაბჰუპადა გარდაიცვალა. მას შემდეგ „ჰარე კრიშნას" მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა მისი მიმდევრების ხელში. მათ მთელი მსოფლიო 11 ზონად დაყვეს. თითოეულ ამ ზონას გამოცდილი ჰურუები ჩაუყენეს სათავეში. დააარსეს 108 მონასტრის ტიპის დასახლება. გამოსცეს რჯულთმოძღვრების 80 წიგნი, რომელიც ეყრდნობა ძველინდური „ბჰაგავატ—გიტას" კომენტარს. გაიჩინეს ათასობით მიმდევარი და მოწაფე. ევროპულ ზონას სათავეში ჩაუდგა სულიერი მასწავლებელი ხარიკეშა სვამი ვიშნუპადა, სხვაგვარად რობერტ კომპანიოლა, იტალიური წარმოშობის აშშ-ს მოქალაქე, რომელსაც რეზიდენცია შვეციაში აქვს.

— ბატონო თეიმურაზ, როდის გამოჩნდნენ „კრიშნას ცნობიერების საზოგადოების" წარმომადგენლები ყოფილ საბჭოთა კავშირში?

— საბჭოთა კავშირში „კრიშნას ცნობიერების საზოგადოების" წარმომადგენლები 1971 წელს გამოჩნდნენ. ეს ფაქტიც დაკავშირებულია სვამი პრაბჰუპადას მოგზაურობასთან მოსკოვში, სადაც იგი პროფესორ გ. კოტოვსკის შეხვდა. მისი საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ინდოელი დიპლომატის შვილმა 22 წლის მთარგმნელი ანატოლი პინაევი გააცნო პრაბჰუპადას მოსამსახურეს შიამასუნდრას. უფრო გვიან პინაევი ინიცირებული იქნა და მიიღო სასულიერო სახელი ანანტა შანტი(რაც სანსკრიტზე'ანანტა" — ნეტარებას, "შანტი" — მშვიდობას ნიშნავს). ინიცირების შემდეგ ანატოლი პინაევი ამტკიცებდა, რომ მთელი მისი ადრინდელი ცხოვრება წარმოადგენდა მხოლოდ მზადებას ამ უდიდესი მოძღვრების აღქმისათვის.

1978-82 წლებში ვინშუპადას და მისი მდივნის კირტირაჯის აქტიური საქმიანობის შედეგად ვაიშნავთა ჯგუფები შეიქმნა მოსკოვში, კიევში, ტალინში, ერევანში, თბილისში, სოხუმში, კრასნოდარში. ამ ჯგუფების მეთაურები იყვნენ — კრიატსკი, კურკინი, კიტანინა, კისლოვა, ლერნერი, ლევისი, რომლებიც გასამართლებული და დასჯილნი იყვნენ 1982-1983 წლებში.

როგორც ვარაუდობენ, პირველი კრიშნაიდური ჯგუფები იქმნებოდნენ ბიოველების შემსწავლელი წრეების, იოგთა სექციების, ა. სპირკინის ბიოელექტრონიკის ლაბორატორიის და ჯანმრთელობის ზოგიერთი ჯგუფის ბაზაზე. საბჭოთა კავშირში მათ საოცრად ნოყიერი ნიადაგი ჰპოვეს და კრიშნაიზმი (ვაიშნავთა მოძღვრება) სწრაფად გავრცელდა. უკვე 1988 წლის მაისში რეგისტრირებულ იქნა საბჭოთა კავშირში პირველი ოფიციალური "კრიშნას ცნობიერების საზოგადოება", 1989 წელს რიგასა და ვილნიუსში, 1990 წელს კი სოხუმში, კაუნასში, ლენინგრადში. ზოგიერთი მონაცემებით კრიშნას ერთგულთა რაოდენობა 400 ათას კაცს უდრის, ზოგი ცნობით უფრო ნაკლებს-150 ათასს, ზუსტი ციფრი დღესაც არ არსებობს.

—როდის შემოდის საქართველოში „კრიშნას ცნობიერების საზოგადოება?"

ვაიშნავთა მოძღვრება საქართველოში 1982 წელს შემოდის და ასევე სწრაფად ვრცელდება. კრიშნაიტური ჯგუფი ქ. სოხუმში შეიქმნა საზღვარგარეთის ცენტრის, მისი ხელმძღვანელის ვიშნუპადას მითითების შესაბამისად და საბჭოთა კავშირის სექტის ფილიალის აქტიური წევრის ე. ლერნერის მონაწილეობით. ეს უკანასკნელი გასამართლებული იყო 1983 წელს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლით. ასრულებდა რა მისიონერულ ქმედებას ვიშნუპადას მითითებით, იგი 1981 წლის დეკემბერში მოსკოვიდან გადავიდა სოხუმში, სადაც გაიცნო ი. ჯიჯავაძე, ო. ნაჭყებია, რ. რუხაძე, პაპსკირი და სხვა. ლერნერმა მათ გააცნო კრიშნაიტების სარწმუნოება და კულტი. ასწავლა მანტრების (ლოცვა) კითხვა, აჩვენა კრიშნაიტური რიტუალები, გადასცა კრიშნაიტური რჯულმოძღვრული და საკულტო ლიტერატურა, არაბჰუპადას, ვიშნუპადას, კრიშნას და სხვების საკულტო გამოსახულებები. ამის შემდეგ ნაჭყებიამ, ჩარგაზიამ, შახლაჯიანმა და ჯიჯავაძემ, რომლებიც შედიოდნენ სოხუმის კრიშნაიტურ ჯგუფში, თვითონ დაიწყეს ზემოხსენებული ლიტერატურის და რწმენის გავრცელება აფხაზეთში. კრებები იმართებოდა მათ ბინებზე.

— როგორ ეკიდება კრიშნაიზმი სხვა რელიგიებს?

— ერთი შეხედვით კრიშნაიზმი შემწყნარებლობით ეკიდება სხვა რელიგიებს. ცნობს მათ არსებობას, მათ დამაარსებლებს თუ შემქმნელებს ღვთის მიერ გამოგზავნილს უწოდებენ. ასე, მაგალითად, როდესაც შრი პრაბჰუპადას კითხეს, თუ რას ფიქრობს ის იესო ქრისტეზე, მან უპასუხა": ის ჩვენი ჰურუა, იგი ქადაგებდა ღმერთის ცნობიერებას, ის ჩვენი სულიერი მასწავლებელია. ნებისმიერი, ვინც ღმერთის დიდებას ავრცელებს, მიღებული უნდა იქნეს როგორც ჰურუ. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ მასზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ პიროვნებაზე. სალმრთო წერილები ამბობენ, რომ თითოეული, ვინც სულიერ მასწავლებელს განიხილავს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, აქვს ჯოჯოხეთური აზროვნების წესი. იესო ქრისტე რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, ის ვერ გაავრცელებდა ღმერთის ცნობიერებას". ყველა ისინი, პრაბჰუპადას აზრით, ბუდა, ქრისტე, მუჰამედი ღმერთის მიერ არიან გამოგზავნილები და მათ დავალებას ასრულებენ. მაგრამ მათ უკან უფალი დგას. თუკი დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პრაბჰუპადა, ერთის მხრივ, თითქოსდა ქება-დიდებას ასხამს იესო ქრისტეს და მეორე მხრივ კი აკრიტიკებს მის მიერვე ნაქადაგებ რელიგიას. პრაბჰუპადას მიხედვით, ქრისტე, მართალია, შეეწირა ადამიანთა ცოდვებს, მაგრამ ამან ნაყოფი არ გამოიღო, ვინაიდან ,,ვინც თავის თავს ქრისტიანებს უწოდებს, დაადგინეს: დაე ქრისტემ იტანჯოს, ჩვენ კი ამ დროს ყოველგვარ სისულელეებს გავაკეთებთ. ასეთი ,,ჭკვიანები"არიან: მათ, შესთავაზეს ქრისტეს ხელი მოეწერა კონტრაქტისათვის, რომლის მიხედვითაც ის თავის თავზე აიღებდა მათ შეცდომებს. ისინი კი, რაც უნდა იმას გააკეთებდნენ. ქრისტემ, მართლაც, თავის თავზე აიღო მათი შეცდომები, მაგრამ ამან მისი მიმდევრები ცოდვისაგან ვერ შეაჩერა. ისინი ისევ ისე სცოდავენ".

მეორე ადგილას პრაბჰუპადა წერს: იესო ქრისტე მზადაა წარუძღვეს ადამიანებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არავის სურს წაყვეს მას. ისინი თვლიან, რომ იესო ქრისტემ ხელი მოაწერა კონტრაქტს მათ ცოდვებზეასეთია მათი ფილოსოფია. ისინი ყველანაირად სცოდავენ, მათ, ნაცვლად კი საწყალმა იესომ ქრისტემ უნდა გასცეს პასუხი. ასეთია მათი რელიგია. ამიტომ ისინი ამბობენ: ,,ჩვენ ძალიან კარგი რელიგია გვაქვს. ჩვენი ცოდვებისათვის მოკვდა იესო ქრისტე". მართლა კარგია ასეთი რელიგია? მათ ხომ ერთი წვეთი სიბრალულიც არა აქვთ იესო ქრისტესადმი. იგი მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, მაგრამ კვლავ რატომ უნდა შევცოდოთ?".

კრიშნაიდთა მტკიცებით, ქრისტე მოგვიწოდებდა თავი აგვერიდებინა მკვლელობებისათვის, მისმა მიმდევრებმა კი რა ქნეს, მათ მეცნიერულად მოწყობილი სასაკლაოები მოაწყვეს, სადაც მილიონობით ცხოველს ულებენ ბოლოს. ისინი ფიქრობენ, რომ ცხოველებს არა აქვთ სული და ამაში ცუდი არაფერია და თუ ეს მაინც ცოდვა არის, სულ ერთია იესო ქრისტე გვიხსნისო თავისი მსხვერპლით. ის დაიტანჯება ჩვენთვის, ჩვენი შეცოდებისათვის. ფაქტობრივად, ის, ვინც ხელმძღვანელობს იესო ქრისტეს მაგალითით, აუცილებლად მიაღწევს განთავისუფლებას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ძალიან ძნელია ნახო ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ასრულებს მის დარიგებებს.

მე აქ არ შევუდგები იმის ახსნას, თუ როგორ ამახინჯებენ და საოცრად ამარტივებენ ვაიშნავები ქრისტიანულ მოძღვრებას, როგორ ცდილობენ უჩვენონ ქრისტიანობის უეფექტობა, უშედეგობა. უჩვენონ, რომ თავისი არსებობის ოცი საუკუნის მანძილზე მან ვერ გარდაქმნა ადამიანი, რომ მისი მიმდევრები მხოლოდ სიტყვით არიან იესო ქრისტეს ერთგულები და ა.შ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ისინი ასევე ექცევიან სხვა რელიგიებსაც, ამასთანავე მიუთითებენ თავისი მიძღვრების უნიკალურობაზე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. და ბოლოს, ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რაზეც, უნდა მისულიყვნენ: ,,კრიშნა ღმერთია და მოითხოვს: ,,დატოვე ყველა სხვა რელიგია და მიერთგულე მე", მაგრამ ადამიანებმა ვერ გაუგეს მას. ამიტომ კრიშნა კიდევ მოვიდა ჰურუს როლში და ასწავლიდა, თუ როგორ გამზ-

გაგრძელება მე–7 გვ.

# იცნობ მეზობელს?! ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?

მე–4 გვერდიდან.

რიაზე, დავინახეთ, რომ მთლიანად ევროპულ ტერიტორიის მასშტაბით რუსეთის სარდლობა ასრულებს ტაშკენტის. შეთანხმებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ საფლანგო რაიონებში განლაგებული მოჯავშნული საბრძოლო მანქანებისა და საველე საარტილერიო სისტემების რაოდენობა 1,6- და 1,1-ჯერ აღემატება ტაშკენტის შეთანხმებით განსაზღვრულ ქვოტებს (განლაგებულია 1785 საბრძოლო ტანკი, 3935 საბრძოლო მანქანა და 2143 საველე საარტილერიო სისტემა).

ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებები დაერღვია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან და დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან სათანადო შეთანხმების გარეშე. ანუ, როგორც ჩანს, დასავლეთმა მეორედაც განუცხადა რუსეთის თანხმობა მის ტერიტორიაზე ევროპულ ნაწილში ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების საერთო ქვოტების უწინდელ მაჩვენებლების შენარჩუნებით, ქვეყნის ცენტრალურ რაიონებსი (კალინინის ოლქი, მოსკოვისა და ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქები) გასალაგებელი ჯავშანსატრანსპორტო და საარტილერიო შეიარაღების შემცირების ხარჯზე გაზარდოს მათი რაოდენობა საფლანგო რაიონებში, უფრო კონკრეტულად კი სამხრეთ ფლანგზე – ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში. რაც რუსულმა სარდლობამ განახორციელა კიდეც.

თუ რამდენად საჭირო იყო რუსეთისათვის თავის სამხრეთ რაიონებში დამატებითი შეიარაღების განლაგება, ამის შესახებ შემდგომ წერილში ვისაუბრებთ. ამჯერად კი კვლავ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება, საქმე იმაშია, რომ იმავე ტაშკენტის შეთანხმებით საქართველოსათვის (ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანისათვის) განსაზღვრული შეიარაღების ქვოტები (220 საბრძოლო ტანკი, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 285 საველე საარტილერიო სისტემა, 100 საბრძოლო თვითმფრინავი და 50 დამრტყმელი ვერტმფრენი) მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებებს და ჩვენთვის სასიცოცხლო აუცილებელია მათ გასაზრდელად ეუთოს ხელმძღვანელობის წინაშე საკითხის დასაყენებლად საქმიანობის დაწყება. უფრო მეტიც, ამის შესახებ არაერთხელ ვუთხარით როგორც პენტაგონისა და ნატოს წარმომადგენლებს, ისე აღნიშნულ საკითხებზე მოლაპარაკებებით დაკავებული სხვა რანგის ქართველ ჩინოვნიკებს, როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე საგარეო საქმეთა სამინისტროში. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. საქმე იმაშია, რომ დასავლეთს არ სურს საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ხოლო ამერიკისა და ნატოს ტრფიალით ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროსადმი მიტმასნილი მაღალჩინოსნები და მათი აპარატების წამყვანი თანამშრომლები ალბათ ძელზე გასმას უფრო ხალისით დათანხმდებიან, ვიდრე ასეთი აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის დაყენებას. სხვა დროს კი ეს ქართველი მოხელეები ჩვეულებრივ იმიზეზებენ, რომ საქართველოს (იგულისხმება სომხეთსა და აზერბაიჯანის) მხრიდან მისთვის გამოყოფილი ჩვეულებრივი შეიარაღების ქვოტების გაზრდის შესახებ ეუთოს წინაშე საკითხის დაყენება აუცილებლად გამოიწვევს ანალოგიური ჯაჭვური პროცესების დაწყებას მთელი ევროპის მასშტაბით. ფაქტები კი ამის საწინააღმდეგოს მეტყველებენ – რუსეთს ორჯერ გაუზარდეს სწორედ საფლანგო რაიონებში მისი ჩვეულებრივი შეიარაღების ქვოტები, უპირატესად სწორედ ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში ჯავშანსატრანსპორტო და საარტილერიო შეიარაღების გასაზრდელად, მაგრამ ამას არანაირი ჯაჭვური პროცესები არსად არ გამოუწვევია.

თანაც მეტად შემაშფოთებელი სიტუაცია შეიქმნა CFE ხელშეკრულებით 1990 წლის მიწურულს თურქეთს დაუდგინეს ჩვეულებრივი შეიარაღების ქვოტები იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ მის ჩრდილოეთ ტერიტორიებს მუქარას უქმნიდნენ საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი და რუმინეთი (ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები), სამხრეთიდან კი ემეზობლებოდნენ მოსკოვის მოკავშირე სირია და ერაყი,, აგრეთვე პრობლემების შექმნა შეეძლოთ ასევე კრემლიდან მართული ქურთისტანის მუშათა პარტიის შეიარაღებულ ფორმირებებს. დღესდღეისობით ამ მუქარებიდან მხოლოდ მიზერული ნაწილი თუ შემორჩა, თურქმენეთისათვის კი მაშინ დადგენილი ქვოტების შემცირებაზე არავინ ფიქრობს.

1992 წელს, როდესაც ტაშკენტის შეთანხმებით საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს ტავის საფლანგო რაიონში ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღების ქვოტები გადაუნაწილეს, ესეც მაშინ სავსებით გასაგები იყო, [illegible] ში რუსეთი უწინდებურად ინარჩუნებდა მყარ პოზიციებს ამიერკავკასიაში და დასავლეთს შეიძლება ჰქონდა იმის შიში (ან ვარაუდი), რომ სამხრეთ ფლანგზე კრიზისული სიტუაციის შექმნის შემთხვევაში ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კარები შესაძლოა რუსული სარდლობის საერთო ოპერატიული ხელმძღვანელობით რუსეთთან ერთად გამოსულიყვნენ თურქეთის და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

მაგრამ 90-იანი წლების განმავლობაში ვითარება თანდათანობით შეიცვალა, საქართველომ და აზერბაიჯანმა დაიწყეს რუსეთისგან დამოუკიდებელი და დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოებისაკენ მიმართული პოლიტიკის გატარება, სომხეთს უშუალო საზღვარი რუსეთთან არ გააჩნია და ისიც ბუნებრივია, რომ რუსულზე მეტად უფრო საკუთარი პოლიტიკის გატარებას ცდილობს. ასეთ პირობებში 90-იანი წლების ბოლოსთვის რუსული სარდლობის ხელში რჩებოდა უპირატესად მის სამხრეთ ფლანგზე არსებული საკუთრივ რუსული საჯარისო შენაერთები და ნაწილები და სავსებით ლოგიკურია, რომ ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ევროატლანტიკური საზოგადოებრიობისა და მმართველი წრეების წინაშე დააყენა საფლანგო რაიონებში (უფრო სწორედ კი სამხრეთ ფლანგზე) ჯავშანსატანკო და საარტილერიო შეიარაღების გაზრდის აუცილებლობის საკითხი, თავისი ინტერესების დაცვა და გატანა შეძლო.

როგორც ვთქვით, სულ სხვა ვითარებაა საქართველოს შესაბამის სტრუქტურებში დაკავებული სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების მხრიდან – მათ ამის გაგონება უბრალოდ არც უნდათ და თუ კი აქამდე თავდაცვის სფეროში (უწინარეს ყოვლისა სამხედრო სფეროში) მათი (რბილად რომ [illegible]) [illegible] იყო ასეთი უდარდელობის მიზეზი, ახლა კი, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში სისტემატურად დავიწყეთ შესაბამისი დასაბუთებით ამ საკითხის დაყენება, ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ ადამიამ საჯარო საკომიტეტო მოსმენებზე ჩვენთვის მიკროფონის გამორთვით სცადა ასეთი "უხერხული" შეკითხვებისაგან მისი მაღალჩინოსანი ნატოელი სტუმრების "არიდება"... ყოველივე ზემოთ თქმულიდან დასკვნის გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდია.

*ირაკლი ხართიშვილი*



# სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, ანუ მართალია თუ არა ექიმი მოუდი

70-იან წლებში მკითხველთა ყურადღება მიიპყრო კ. მოუდის წიგნმა "სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ" და მისმა გაგრძელებამ "სიკვდილის შესახებ სიკვდილის შემდეგ".

პირველ წიგნში მოუდიმ აღწერა და გაანალიზა 150 შემთხვევა, როდესაც ადამიანებს კლინიკური სიკვდილის შემდეგ კარგად ახსოვდათ, თუ რა გადახდათ თავს. მომაკვდავს ჯერ კიდევ ესმის ექიმის ხმა, გამოდის სხეულიდან და დიდი სისწრაფით მიქრის გვირაბში, რომლის ბოლოსაც მოჩანს შუქი, ზოგჯერ კი – გასხივებული არსება. მომაკვდავის თვალწინ გაირბენს მთელი მისი ცხოვრება; ის ხვდება გარდაცვლილ ნათესავებს და მეგობრებს. მომაკვდავი ზოგჯერ თავის ნების გარეშე უბრუნდება სხეულს.

ბრიტანელი სამხედრო საჰაერო ძალების ექიმი ავარიაში მოჰყვა. პატარა თვითმფრინავის კაბინიდან გადმოვარდნის შემდეგ ზურგზე დაეცა და გონება დაჰკარგა. იმ ადგილიდან, სადაც ის ეგდო აეროდრომის შენობა არ ჩანდა, მაგრამ მაინც ხედავდა სამაშველო სამსახურის მოქმედების ყველა ეტაპს. ის იხსენებს, რომ ავარიას უყურებდა ზემოდან, ხედავდა თავის სხეულს, რომელიც ახლოს ეგდო. ხედავდა "სასწრაფოს", რომელიც გაჩერდა ჰოსპიტალთან. ექიმმა იგრძნო, რომ შორდება აეროდრომს, დაფრინავს კუნძულ კორნელის თავზე და საშინელი სისწრაფით მიქრის ატლანტის ოკეანის ზემოთ. მოულოდნელად მოგზაურობა დამთავრდა და ის გონზე მოვიდა. შემდგომმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ექიმმა აღწერა.

ქალბატონმა (ნ.მ.) გულის შეტევისას იგრძნო, რომ დატოვა სხეული, იგრძნო კვდებოდა და გაიფიქრა: "ღმერთო, რომ მცოდნოდა რა მოხდებოდა, სხვანაირად ვიცხოვრებდი: გთხოვთ დამეხმაროთ". ამის შემდეგ ის მოხვდა გვირაბში. გვირაბს იქით დაინახა ადამიანები, რომლებიც ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც მიწაზე. ყველაფერი საკვირველი შუქით იყო განათებული. მან დაინახა ბიძამისი, რომელმაც უთხრა: "დაბრუნდი უკან, შენ კიდევ ბევრი დაგრჩა მიწაზე გასაკეთებელი". ქალს არ უნდოდა დაბრუნება, მაგრამ არჩევანი არ გააჩნდა და დაუბრუნდა სხეულს. ისევ იგრძნო გულის არეში საშინელი ტკივილი და გაიგონა პატარა ვაჟის ტირილი: "ღმერთო, დამიბრუნე დედა!"

ავარიაში მოხვედრილი ადამიანი ყვება, თუ როგორ უყურებდა ზემოდან მაშველთა მოქმედებას.

"მე მესმოდა, როგორ განაცხადეს ექიმებმა, რომ მე მოვკვდი და მაშინ მოვხვდი სადღაც ბნელში, საიდანაც შორს შუქი მოჩანდა. მე მივუახლოვდი ამ შუქს და ვიგრძენი, რომ ეს იესო ქრისტე იყო."

ამერიკელი ფსიქოლოგის კენეტ რინგის მონაცემებით 102 "იმ ქვეყნიდან დაბრუნებულთა" 60 პროცენტი განიცდიდა სიმშვიდეს, 37% – დაფრინავდა საკუთარ სხეულს ზემოთ, 23% – შედიოდა გვირაბში, 26% – მა დაიმახსოვრა სხვადასხვა პანორამული ხილვები, 16% – მოხიბლული იყო საოცარი შუქით. 8% - იხილა გარდაცვლილი ნათესავები. "დაბრუნებულებს" შორის არის ჯოჯოხეთის აღწერაც.

სიკვდილის შემდგომი ხილვების ფენომენს ამჟამად არავინ უარყოფს. იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს ხილვები მორწმუნეებში უფრო ხშირია. 4000-მდე პაციენტის გამოკვლევამ სხვადასხვა დონის, განვითარების, მორწმუნე თუ ულმერთო ადამიანების ხილვები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა.

*მოამზადა ანა ჯოჯუამ.*

# კრიშნაიზმი საქართველოში

მე-5 გვერდიდან.

დარიყვნენ მისი ერთგულები". და თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ რაღა გზა რჩებათ ქრისტიან მღვდლებს? პრაბჰუპადას თქმით, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი- მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ კრიშნას მოძრაობასთან. ამისათვის კი საჭიროა, რომ ქრისტე ძველებურად ადიდონ, მაგრამ შეწყვიტონ ცხოველთა კვლა, რაც შეესატყვისება ქრისტიანულ მოძღვრებასაც. თუ ამასაც გააკეთებთ, ნახავთ როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება.

— ბატონო თეიმურაზ, თუ შეგიძლიათ ცოტათი მაინც გაგვარკვიეთ კრიშნაიტთა უცნაურ მოძღვრებაში. რა სწამთ, რას ეყრდნობა მათი მოძღვრება და რა რიტუალებს ასრულებენ?

—კრიშნაიტთა მოძღვრება უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა უძველეს ინდურ „საღმრთო წერილებს"—ვედებს და მათში გადმოცემულ სიბრძნეს. როგორც თვით კრიშნაიზმის მიმდევრები თვლიან: „ვედები მსოფლიოში ყველაზე აღიარებული „წმინდა წერილია". ის ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: სამა, იაჯურ, რიგ და ათჰარვა ვედა. ვედების შინაარსი ჩვეულებრივი ადამიანისათვის ძნელი შესაცნობია.

კრიშნაიზმის მიმდევრებისათვის ფუძემდებლურია ვედური ლიტერატურის შრილა პრაბჰუპადას მიერ გაკეთებული კომენტარები. როგორც ამ დარგის მკვლევარები მიუთითებენ: შრილა პრაბჰუპადამ უარყო ცნობილი მოაზროვნის ტილაკის, აურობინდო გხოშის, მაჰათმა განდის და სხვათა ადრინდელი კომენტარები. ასევე მან უარყო ახალი დროის კომენტარებიც და თავის წიგნში "ბჰაგავატ-გიტა როგორც ასეთი" მან მოგვცა ამ წიგნის გააზრების თავის ვარიანტი, სცადა თანამედროვე ჟღერადობა მიეცა ძველი ვედური სიბრძნისათვის, პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომელიც ადამიანებს ებადებათ ჩვენს დროში.

ვაიშნავთა მოძღვრების მიხედვით, სამყაროს შემოქმედი და უმაღლესი პირი არის ღმერთი კრიშნა. იგი არის უმაღლესი დამატკბობელი ღმერთი, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების მეგობარია. ყოველივე ირგვლივ მისი ენერგიებისაგან არის შექმნილი. ასეც წერია, ბჰაგავატ-გიტას 7:&-ში: "ო, არჯუნა! მე ვარ ტრანსცენდენციის უმაღლესი პრინციპი და არაფერი არ არსებობს, რომ აღემატებოდეს, ყოველივე ძევს ჩემს ენერგიებზე ისე, ვით ძაფზე ასხმული მარგალიტები."

ბიბლიაში, პრაბჰუპადას აზრით, ღმერთი დახასიათებულია როგორც დიდი, მრისხანე, შეუბრალებელი არსება, ის, ვისიც უნდა გეშინოდეს, ყოვლადძლიერი, მარადიული მამა, ალფა და ომეგა და ა.შ. მაგრამ არსად არის პირადად ღმერთის აღწერა. მაშინ ვინ არის ღმერთი — კითხულობს ვაიშნავთა მოძღვრების შემქმნელი, რაში მდგომარეობს მისი დიდება, როგორი ნიშნები აქვს, როგორია მისი გრძნობები, როგორ გამოიყურება მისი სამეფო, თვითონ როგორ გამოიყურება, როგორი თვისებებისა და ხასიათისაა, როგორ ქმნის იგი, როგორ შედის იგი თავის ქმნილებებში, როგორია ღმერთისა და ცოცხალი არსებების ურთიერთობა, რა როლს ასრულებენ ეს არსებები, როგორ მოევლინა ღმერთი მატერიალურ სამყაროს და როგორ გამოიყურება იგი მის საზღვრებს გარეთ? — ყველა ეს კითხვა და ბევრი სხვაც, პრაბჰუპადას აზრით, ბიბლიაში ან ღიად რჩება, ან მათზე დამაჯერებელი პასუხი არ არის გაცემული იმის გამო, რომ ძველი ებრაული კულტურა არ იყო სათანადოდ მომზადებული და საკმაოდ პროგრესიული. ამის დასტურად შრილა პრაბჰუპადას მოაქვს ადგილი იოანეს სახარებიდან (16:12), სადაც იესო ქრისტე მომართავს თავის მოწაფეებს: "კვლავ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ველარ იტვირთავთ". პრაბჰუპადას აზრით, ძველ აღთქმაში აღწერილია, რომ იუდეველებს ესმით ღმერთის ხმა, იგი ეცხადებათ ხან სული წმინდის, ხან ღამით ცეცხლოვანი სვეტის სახით, ხან დღელრუბლის სახით, მაგრამ იგი არასოდეს სჩვენებია ხალხს თავისი ნამდვილი სახით. მართალია, ქრისტე მოევლინა ხალხს, მაგრამ იგი გამოეცხადა მათ როგორც ღმერთის ერთგული, მისი საყვარელი შვილი, მაგრამ როგორც შვილი და არა როგორც მამა, რომლის მძლავრი ხმა ზეციდან ისმის.

პრაბჰუპადას აზრით, რაზეც ბიბლია დუმს, იმაზე პასუხს გვაძლევს ვედური ნაწერები. ვედები, რომელნიც მაღალგანვითარებული სულიერი კულტურის საფუძველზე, ბიბლიაზე გაცილებით უფრო ადრე წარმოიქმნა, ამ უკანასკნელ სიმით სჯობს, რომ იგი გვიხსნის ღმერთის სახეს, მის მინიშნებასა და ტრანსცენდენციურ თამაშებს, თვით პიროვნებას, ღმერთის თვისებებს. რასაკვირველია, სიტყვები უძლურია მთლიანი წარმოდგენა მოგვცეს ღმერთის დიდებაზე, ვედები სთავაზობენ ადამიანს წარმოდგენა მოგვცეს ღმერთის დიდებაზე, მაგრამ ვედები სთავაზობენ ადამიანის ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვოს მან ჭეშმარიტი თავისუფლება. ამრიგად, ვედებში არის ჭეშმარიტი ღმერთის — კრიშნას აღწერილობა და მისი ტრანსცენდენტური მოღვაწეობა. ვედები არ ისაზღვრებიან მხოლოდ ცარიელი მტკიცებით, რომ ღმერთი — ეს შრი კრიშნაა, არამედ აღწერენ, თუ როგორ გამოიყურება იგი და როგორია მისი საქმეები. ინდოეთის ტაძრებში თაყვანს სცემენ ღმერთის ტრანსცენდენტურ გამოსახულებას." როგორც პრაბჰუპადა აღნიშნავს — ბიბლიაში იეჰოვა და ქრისტეს უწოდებენ უმაღლეს ღმერთს. ხოლო ვედური ლიტერატურა (ბჰაგავატგიტა, ბრაჰმა-სამჰიტა, შრიმადბჰაგავატამი) მიუთითებს, რომ უფალს ჰქვია კრიშნა, რაც ნიშნავს ყოვლის მიმზიდველს, რამა ნიშნავს სიხარულით სავსეს, ხოლო ჰარე ნიშნავს სიხარულის ენერგიას.

— ღმერთის ყველა სახელიდან, კრიშნაიტები რატომ ანიჭებენ უპირატესობას მაინცდამაინც კრიშნას?

— ამ შეკითხვაზე პასუხს თავად პრაბჰუპადა სცემს: „თუმცა ღმერთის ყველა სახელი ერთნაირად კარგია, მაინც კრიშნას სახელი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი ნიშნავს თავდაპირველს, საწყის პიროვნებას. თუმცა ღმერთი ერთია, მაგრამ მისი გარდასახვები უამრავია, ისევე როგორც ერთ სანთელს შეუძლია აანთოს უამრავი სანთელი, მაგრამ პირველი მაინც რჩება პირველად".

კრიშნა ვაიშნავთა მიხედვით, ყოვლადძლიერი და ყველაფრის შემძლებელია. მისი ენერგია არასოდეს არ ილევა, არც დედამიწა არსებობს კრიშნას გარეშე, ისიც მისი ენერგიაა, ენერგია კი არ უნდა დააშორო მის წყაროს ისევე, როგორც არ შეიძლება სითბო დააშორო ცეცხლს. კრიშნა გვაძლევს ყველაფერს, ჩვენც განუყოფელი ნაწილები ვართ ღვთაების, ამიტომ ღმერთის გარეშე არაფერს წარმოვადგენთ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და მხოლოდ ამით შევიძენთ ღირებულებას.

ვაიშნავთა მოძღვრებაში მთავარი მოქმედი პირი არის ის, ვინც ამქვეყნად უნდა ადიდოს კრიშნას სახელი, ეს არის მორწმუნე, რომელსაც ვაიშნავები ერთგულს ეძახიან. ერთგული, მათი განმარტებით, არის ის, ვინც ყოველთვის ასიამოვნებს კრიშნას. ეს არის მისი ერთადერთი საზრუნავი, ერთადერთი საქმე. სრულყოფილი სული აქვს მხოლოდ სრულყოფილ ერთგულს. სრულყოფილი სული შრილა პრაბჰუპადას განმარტებით, ეს არის ის, ვინც მთელ თავის დროს უძღვნის კრიშნას ცნობიერების საქმიანობას. ამაშია სრულყოფილება, ესაა ტრანსცენდენტური მდგომარეობა. იყო სრულყოფილი — ნიშნავს იმოქმედო შენი საკუთარი საწყისის შესაბამისად. როგორც ბჰაგავატ-გიტაშია ნათქვამი: "თითოეულს შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას, თუკი შეასრულებს მისთვის გათვალისწინებულ მოვალეობას." ეს არის სრული სრულყოფილება — სამსილ. "სილხი" ნიშნავს "სრულყოფილებას", "სამი" — ნიშნავს "მთლიანად". ბჰაგავატგივაში ნათქვამის, რომ ის ვინც უკან ბრუნდება სახლში, აღწევს აბსოლუტურ სრულყოფილებას მაშინ, როცა გაიცნობიერებს, რომ ის მატერიალური სხეული კი არ არის არამედ სულიერი სული, ამას ჰქვია ბრაჰმაბხუტა-ბრაჰმანის შეცნობა, ესაა სრულყოფილება. ხოლო შემდგომი საფეხური — სამსიდხი. მას შემდეგ, რაც ადამიანი მიუძღვნის თავის თავს ერთგულ მსახურებს, ვინც დაკავებულია ერთგული მსახურებით, მან უკვე შეიცნო ბრაჰმანი და ეძახის სამსიდხს".

კრიშნას ყველაფერი აქვს, მას არაფერი არ სჭირდება, მაგრამ იმისათვის, რომ მისდამი სიყვარული გამოხატოს, ერთგული ვალდებულია, სანამ საკვებს მიიღებდეს, მანამდე უფალს შესთავაზოს პრასადი. ერთგულმა კრიშნას უნდა შესთავაზოს საუკეთესო საჭმელი. თუკი მას შესთავაზებენ მესამეხარისხოვან რაიმეს, ამით ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას. ვაიშვანთა აზრით, ეს პროდუქტები სიფრთხილით უნდა შეირჩეს. სასურველია რძის ნაწარმი, შაქარი, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი და მარცვლეული. მიუღებელია ხორცი, კვერცხი, თევზი, ხახვი, ნიორი, სოკო, ყავა, კაკაო, შოკოლადი და კოფეინის შემცველი ჩაიც. სასურველია საკვები კრიშნას ერთგულმა მოამზადოს. დაცული უნდა იქნეს სისუფთავე, რადგან ბიძნური რაიმეს შეთავაზება კრიშნასათვის წარმოუდგენელია. კეთების პროცესში არ შეიძლება საჭმლის გასინჯვა, რადგან ის კრიშნასათვის მზადდება, ამიტომ პირველად მან უნდა გასინჯოს. კრიშნასათვის საჭმლის შეთავაზების წესი ასეთია: უნდა გადმოიღო თითოეული კერძის მცირე ულუფა თეფშზე, ხოლო წვენი — ჭიქაში, ყველაფერი ეს კრიშნას სურათის წინ უნდა დაიდოს და ერთგულმა უნდა წარმოთქვას: "ჩემო ძვირფასო კრიშნა, გთხოვ მიიღე ჩემი მოკრძალებული ძღვენი". თუ საჭმელს სიყვარულითა და ერთგულებით არ შევთავაზებთ, უფალი მას არ მიიღებს.

საკვების აღების წინ სამჯერ უნდა წარმოითქვას ჰარე კრიშნა, მაჰა მანტრა, ლოცვის წარმოთქმის შემდეგ საჭმელი საკურთხეველზე კიდევ უნდა იდგეს 10-15 წუთი, სანამ მას უფალი არ მიირთმევს. ეს დრო ერთგულმა კირტანასათვის უნდა გამოიყენოს. შემდეგ შეიძლება ჭამო პრასადი. ამ საკვებს სულიერი თვისებები აქვს.

იმისათვის, რომ ადამიანმა წარმატებებს მიაღწიოს სულიერ წინსვლაში, ვაიშნავთა აზრით, აუცილებელია ოთხი პრინციპის დაცვა: 1. არ ვჭამოთ ხორცი, თევზი, კვერცხი, (ხახვი, სოკო, ნიორი). 2. უარი ვთქვათ ინტოქსიკაციის ყველა სახეობაზე (ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკები, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი). 3. მონაწილეობა არ მივიღოთ აზარტულ თამაშებში. 4. სქესობრივი კავშირი დასაშვებია მხოლოდ კანონიერ მეუღლესთან შთამომავლობის გაჩენის მიზნით.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მეოთხე პრინციპი, ვაიშნავთა დამოკიდებულება ოჯახის, ქალის, სქესისადმი. ვედური სისტემის მიხედვით, მამაკაცისა და ქალის კავშირი მატერიალური ცხოვრების ძირითადი პრინციპია. ეს კავშირი იზრდება და აიძულებს ადამიანს ააშენოს სახლი, შეიძინოს მიწა, გააჩინოს შვილები, იყოლიოს მეგობრები და ნაცნობები, იშოვნოს ფული, ყოველივე ეს ქმნის მატერიალურ სხეულთან მჭიდრო კავშირის ილუზიას, რომ ის, რაც დაკავშირებულია სხეულთან, თვით ადამიანისაა. და თუკი ადამიანებს უნდათ თავი დააღწიონ ასეთ ილუზიას, განშორდნენ მატერიალურ სამყაროს, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა ნულამდე უნდა დაიყვანონ. ეს არის იდეალი. ამიტომ ვედური სისტემის მიხედვით, სექსზე საერთოდ უნდა ავიღოთ ხელი. მთელ ამ სისტემას ჰქვია ვარნაშრამა-დრახმა. სოციალური სისტემა, რომელიც მიღებულია ინდოეთში ვარნებისა და აშრამების სახელწოდებით და დაყოფილია ოთხ კლასად და სულიერი განვითარების ოთხ სტადიად: ბრახმაჩარია (მოწაფეობა უცოდინარობის დაცვით), გრხასტხა (ოჯახური ცხოვრება), ვანაპრასტხა (საერო ცხოვრებაზე უარის თქმა) და სანნიასა (სრული განდგომა). ხოლო საზოგადოების ოთხი კლასია — ბრაჰმანები (ინტელექტუალური კლასი), ქშატრიები (ადმინისტრატორების), ვაიშები (ვაჭრები და ფერმერები), შუდრები (მუშები). ამრიგად — პრაბჰუპადას აზრით, ამ სისტემით ის პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას იმდენად სრულყოფილია, რომ თუკი ადამიანს აქვს მისწრაფება მატერიალური ტკბობისაკენ, ამისდა მიუხედავად, იგი ბოლოს და ბოლოს მაინც აღწევს განთ ვისუფლებას და ბრუნდება სახლში, უკან ღმერთთან, ასეთია ეს მეთოდი. სექსი საჭირო არ არის, მაგრამ რამდენადაც ჩვენ დაკავშირებულები ვართ მასთან, არსებობს მისი განმსაზღვრელი მარეგულირებელი პრინციპები." იგივე პრაბჰუპადას თქმით, სექსი საჭიროა მხოლოდ ბავშვების გასაჩენად და არა იმისათვის, რომ შევისწავლოთ სქესობრივი ურთიერთობის ფსიქოლოგია.

როდესაც მთავრდება ოჯახური ცხოვრების პერიოდი, ვაიშნავთა აზრით დგება ვანაპრასტხი. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მიდის ოჯახიდან. ცოლი და ქმარი ცალცალკე ცხოვრობენ. მათ შორის აღარ არის ფიზიკური სიახლოვე. შემდეგ, როდესაც სრულიად განთავისუფლდება ოჯახური ცხოვრებისაგან, ადამიანი ღებულობს სანნიასას.

— ბატონო თეიმურაზ, რა არის კრიშნაიზმი, რატომ გაჩნდა იგი? კანონზომიერი მოვლენაა თუ შემთხვევით მოძრაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოდამ შემოაგდო, რა ფესვები გააჩნია მას, რელიგიაა თუ რაიმე ეგზოტიკური ახალგაზრდული მოძრაობა, როგორი მომავალი აქვს მას?

— მართალია, ბევრი მეთვალყურე თვლის, რომ არ შეიძლება ჰარე კრიშნას მოძრაობის გადაფასება არც დასავლეთში, არც ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ მონაცემები მის შესახებ ძალზე გაზვიადებულია, ის, რომ მაგრამ ის ფაქტი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე გაზვიადებულია, სწრაფად და ხმაურით გავრცელდა მრავალ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც.

თუკი მაინც მოვძებნით მისი ესოდენ სწრაფი გავრცელების მიზეზებს, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ღრმა იდეოლოგიური კრიზისი, არსებული რელიგიური ორგანიზაციების ავტორიტეტის დაცემა, ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება, სულიერი დაუკმაყოფილებლობა, ყოფითი პრობლემები და სხვა.

მე თქვენთან საუბრისას მიზნად არ დამისახავს შემეფასებინა კრიშნაიზმი, გამერკვია მისი ჭეშმარიტება თუ მცდარობა, მე არ ვაქებ და არც ვლანძღავ მათ მოძღვრებას, არც ვაიშნავთა მიერ სხვა რელიგიათა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორ ინტერპრეტაციათა მხილებას ვცდილობდი. მე მხოლოდ ერთი კუთხიდან, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მკითხველებს და თვით ვაიშნავებს მინდა გავუზიარო კითხვები, რომელიც გამიჩნდა ამ მოძღვრების, რიტუალური მხარეების და თვით მორწმუნეებზე დაკვირვებისას:

1. რამდენად მისაღებია, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, საქართველოსათვის, რომელიც ოდითგანვე იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის, რომლის საუკეთესო შვილები ამ მიზნით ბრძოლაში დაეცნენ, მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეროვნულობას, რომ მსჯელობა "მე სხეული ვარ, რამდენადაც იგი გარკვეულ ადგილას იმყოფება, შესაბამისად ეს ჩემი სამშობლოა. მე ამერიკელი ვარ, მე ინდოელი, მე გერმანელი, მე ესა ვარ, მე სხეული ვარ. ეს ჩემი ქვეყანაა. მე ყველაფერს შევწირავ ჩემს სამშობლოს და საზოგადოებას, ეს ილუზიაა. ადამიანი, რომელიც ასეთი ილუზიის ქვეშ იმყოფება, სიკვდილის მომენტში ღებულობს სხვა სხეულს. ახალი სხეული უკეთესი იქნება თუ უარესი, განსაზღვრულია კარმით".

ამ დებულებიდან გამომდინარე ლოგიკურია ასეთი მსჯელობა: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქართველობას, ჩვენს ბრძოლას, ჩვენს ისტორიას, თუკი ხვალ მე არ ვიცი ვინ ვიქნები, კორეელი თუ ვიეტნამელი, რუსი თუ გერმანელი. თუ ეს მართლა ასეა, რა მნიშვნელობა აქვს მთელ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ბრძოლას, შრომას და გარჯას?

2. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ჩვენმა ხალხმა უღალატოს თავისი არსებობის წესს, საუკუნეების მანძილზე დადგენილი სარწმუნოებას, ადათებსა და წეს-ჩვეულებებს, ყაზის კულტურას, ქართულ სუფრას და გავიდეს ცხოვრების გაცილებით ასკეტურ წესზე, უარი თქვას ერთი ჭიქა ღვინის, თვით ჩაის და ყავის დალევაზეც?

3. როგორ შეეგუება ჩვენი ხალხი ამა თუ იმ სახით ოჯახზე უარის თქმას (ვანასრასტხა, სანნიასა). ბერმონაზვნობა, რასაკვირველია, ქრისტიანობაშიც არის, მაგრამ ლაპარაკია მასიურ მოვლენებზე, როდესაც ადამიანი მისი ოჯახიდან სტოვებს ცოლს, შვილებს, შვილიშვილებს?

4. რამდენად შეესატყვისება საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებს ესოდენი რელიგიური დაქუცმაცება. ახლა რომ ქართველი მართლმადიდებელის არის, კათოლიკეც, ბაპტისტიც, ძველმართლმადიდებელიც, ადვენტისელიც, მუსლიმი და ახლა ვაიშნავიც. თუ მათთვის რელიგია პირველ პლანზეა, ვის ერთგულებენ ისინი?

5. ჩვენი შეხედულებებით, ვაიშნავთა მოძღვრება მნიშვნელოვნად ანელებს მოქალაქეობრივ-პატრიოტულ აქტიურობას და ეს ფაქტი თუ მეტნაკლებად ასატანია დიდი ერებისათვის, იგი მთლიანად ხომ არ დაღუპავს საქართველოსთანა პატარა ქვეყანას?

კიდევ მრავალი კითხვა ჩნდება, მაგრამ ამჯერად ამით მინდა დავკმაყოფილდეთ და სანამ ამ კითხვებზე პასუხს მივიღებდე, პატარა დასკვნის სახით ასეთი რამ მინდა გავახსენო ამ მოძღვრების თავგადადებულ ქართველ მიმდევრებს: ერთხელ, რუსეთიდან ამერიკაში ემიგრირებულ ცნობილ ებრაელ რუსულენოვან პოეტს ბროდსკის, რომელიც ძალზე გატაცებული იყო აღმოსავლური სარწმუნოებით, ჰკითხეს აზრი ამ რელიგიების შესახებ. ბროდსკიმ უპასუხა, რომ ეს გატაცება დიდი ხანია უკვე წარსულს ჩაბარდა, რომ იგი დაუბრუნდა იუდაიზმს, რომელიც მისი აზრით, წარმოადგენს თუმცა ვიწრო. მაგრამ ძლიერ ნაკადს მსოფლიო კულტურაში. იოსებ ბროდსკის პასუხში ნათლად ჩანს პოეტის შემობრუნება და ერთგულება ებრაული ეროვნული სახელმწიფოს იდეისადმი, რომელიც იუდაიზმის გარეშე წარმოუდგენელია. ხომ არაფერს გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი?

და კიდევ ერთი: ძალიან მიჭირს შევეგუო იმას, რომ მცხეთაში, რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით სვეტიცხოვლის ტაძრიდან — სადაც ჩემი ნაცნობი ქართველი ვაიშნავის ოჯახში დაიბადა ბიჭი, რომელსაც ბალარამა (კრიშნას ძმის სახელი) დაარქვეს. სანუგეშოდ ისლა გვრჩება, რომ ბებია და პაპა მას ოჯახში გურამის ეძახის...

— გმადლობთ.

*ესაუბრა ბესიკ ჯახაია.*

## ბენო კონჯარია

*ვუძღვნი მეუღლის ნათელ ხსოვნას.*

უმუშევართა ბირჟაზე უამრავი ხალხი ირეოდა. ნუგზარი ფრთებმოტეხილი არწივივით კარგა ხანს დაბორიალობდა. ზოგმა "ელექტრიკი" იკითხა, ვინ კიდევ "პარკეტჩიკი", "სანტექნიკოსი", "მეარმატურე"... არც ერთი არ იყო იგი, მხოლოდ დამხმარე მუშად თუ აიყვანდა ვინმე.

შუადღე ხდებოდა და არავისთან ჰქონია ლაპარაკი... ამასობაში კუჭის ტკივილიც იგრძნო. იცოდა, წყლულს შიმშილი არ უხდება, იქვე სკვერის კიდეზე



ხეს მიეყრდნო, ჯიბიდან გამხმარი ქართული პურის ნატეხი ამოიღო, ერთხანს ღოღნა იგი...

უცებ შორიახლო "ჯიპი" გაჩერდა, ორი ჩასუქებული, გაფუებული კაცი გადმოვიდა მანქანიდან. ერთს დიპლომატი ეჭირა, მეორეს – საქმის "პაპკა"... დიპლომატიანმა თვალი გადაავლო ბირჟავიკებს, ის იყო რაღაც უნდა ეთქვა და მობილური იძრო, თავაწეულად რიხით ჩასძახა – გისმენ! – მერე ხმა დაირბილა, – ტინკა, გენაცვალე, ახლა არ მცალია, ერთ საათში გადმოგირეკავ.. რაო?! ათი დაპატიჟე? ოცდაათი იყოს!

მობილურით მოლაპარაკე იცნო ნუგზარმა, თანაკლასელი იყო, პროკურორის შვილი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწრაფად რომ გაიქაჩა, რაიკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, ალმასკომის თავმჯდომარე.

და მოხდა ჯერ არ მოსალოდნელი!.. დრო გამოიცვალა... მანაც მალე აუღო ალღო სისტემის ფერისცვალებას... ბიზნესმენობაში გაიწაფა, მამისა და მის მიერ საბჭოურ რაიონულ მთავრობაში ნაშოვარ-"ნაჯაფარით" მაღალი რანგის ახალ ჩინოსნებს დაუკავშირდა, დაუძმაკაცდა... პარლამენტარიც გახდა, აგერ ათი წელია არ შეხვედრია, და აი, დგას მის წინ და აცხადებს: – ერთ წელიწადში უნდა წამოვჭიმო სამსართულიანი სასტუმრო, ბარი, სარდაფში – აბანო... სასწრაფოდ მჭირდება სპეციალისტი მშენებლები... უცებ "ბირჟავიკების" ალყაში მოექცა.

– ყოჩაღ, "ჭინკა". კარგად ახსოვს ნუგზარს ჭიაბერ ჭიაბრიშვილის თანაკლასელების მიერ შერქმეული მეტსახელი. მისგან შორიახლო იდგა. გვერდით მყოფმა ახალგაზრდამ ნუგზარს გადაულაპარაკა:

– ეს ის არის, კაცო, ტელევიზიაში ხშირად რომ ბლატაობს?!

ნუგზარს თითქოს არც გაუგონიაო, ყურადღება არ მიუქცევია, იმ ახალგაზრდამ წინ წაიწია, დაუდგა განმცხადებელს და მიახალა:

– აბა, პირობები ჩამოკაკლე, უფროსო!

– ათი ლარი დღეში.

– თუ დოლარი?

– პირს დაგწვავს...

– კარგი, ჯანდაბას, – ჭამა-სმა, ჯიგარო?..

– ერთჯერადი, გაჭმევთ რაღაცას!

– ბალანდას, არა? ბალანდას ციხეში აჭმევენ,

– არა, ბიჭო, შემწვარსა და მოხრაკულს მოგართმევენ. – ჩაილაპარაკა ნუგზარმა და უნებლიედ ჩაიღიმა.

ჭიაბერმა ყური ჰკიდა ნუგზარის ირონიულ რეპლიკას, მერე თვალიც დაადგა მას, რამდენიმე კაცის უკან რომ იდგა ოდნავ წელში მოხრილი.

– ზოგჯერ ისიც იქნება, – ნიშნის მოგებით მიუგო მშენებელ-არქიტექტორს, რომელიც აქამდე სეირის მაყურებლივით რომ ედგა

# ხელის მორთმევა
## – ნოველა –

გვერდით, ხმადაბლა გადაულაპარაკა:

– ვის რაში გამოადგება ეს მოხუცი?

– ჰმ! მოხუცი! ვაი, დედასა! – ჩაიდუდუნა ნუგზარმა და თავი ჩაქინდრა.

მშენებელ-არქიტექტორმა მხრები აიჩეჩა, – იქნებ ჯერ კიდევ ერჩის ძალღონე.

ჭიაბერმა კვლავ გადაავლო თვალი ლუკმაპურის მაძიებელთ და დინჯად წარმოთქვა: – მშენებლობა ტემპში უნდა წავიდეს, ჩვენ გვინდა ახალგაზრდა, ჯანიანი ბიჭები.

– მაშინ პარლამენტიდან აიყვანეთ, ბატონო, ბევრი გყავთ იქ მასეთები!

ჭიაბერმა კვლავ გადახედა თანხმლებ ინჟინერს და გამოაცხადა:

– ვინც თანახმაა ჩვენი პირობებისა, ხვალ მობრძანდით ამ მისამართითო და სავიზიტო ბარათი გადასცა მსურველებს.

– თქვენ კი, – მიმართა ნუგზარს, – პროვოკაციას თავი დაანებეთ, კაცმა რომ თქვას, ჩვენმა პრეზიდენტმა თქვენისთანები უარეს დღეში უნდა ამყოფოს, მაგრამ მეტად დემოკრატი, გულჩვილი და გულთბილი კაცია და ამით სარგებლობთ.

ბირჟავიკებმა აქა-იქ გადაიხარხარეს. ნუგზარს გუნებაში ჩაეღიმა.

– რა გაცინებთ, ხალხო! – გადასძახა მათ, – მეტად გულჩვილი რომაა, არ ეტყობა, თუ! ჩვენი გაჭირვება ისე მიაქვს გულთან, ისე განიცდის, რომ არ ხედავთ, ლამის დაილიოს, ჩამოდნეს კაცი, – ქირქილით მიაყარა, ხელი ჩაიქნია და ბირჟა დატოვა.

ჭიაბერმა ერთხანს თვალი გააყოლა მას, მერე თანმხლებს უთხრა:

– არ უნდა მოვსულიყავით აქ, მაგრამ ხომ იცი, მოუსვენარი კაცი ვარ და საქმისათვის ასე აჯობებს-მეთქი, ვიფიქრე. წამით გაყუჩდა, შემდეგ თვალით დაეწია ნუგზარს, ხელი გაიშვირა მისკენ, – შენ რომ იცოდე, იმ კაცში თითქოს ნაცნობი ხმა შევიცანი, მაგრამ თან მეეჭვება კიდეც, არა, ასე რა დააბერებდა, რა დააჩაჩანაკებდა, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვიცი, იგი ჩემი კბილაა... – მან ქვეშეურად ჩაიღიმა, – რამდენჯერ მიქეიფია მის ოჯახში, ოქრო კაცს ვეძახდი, მომღხენი იყო, გულგახსნილი, შუბლგახსნილი... რომ იტყვიან. ლუკმის გამყოფი... თავი გააქნია, – დიდად განათლებულიც, მეცნიერ-გეოლოგია, მწერალიც... თუმცა, საკმაოდ უნიჭო ვარ ლექსების დამახსოვრებაში, არასოდეს დამავიწყდება რამდენიმე სტროფი მისი ლექსებიდან, – მან წარბები ამრიზა, თითქოს ვიღაცას გაუჯავრდაო, გადაიხარა და ყურში უჩურჩულა:

კაცმა არ იცის, ვის რა მოელის,
დრო-ჟამს თუ კი აუღე ალღო,
ამაო არის ცოდნა ყოველვის
ცხოვრება მოგსპობს, გაგსრესს, გაგალღობს!..

– ა? ხომ არის ჭკვიანური ნათქვამი?!

– ძალიან!

ან კიდევ:

თუ დაუფიქრებელ ნაბიჯს გადადგამ
და ეს დიდ ზიანს და ტკივილს გარგუნებს
გახსოვდეს, იცოდე, გახსოვდეს მარადჟამს
დაკარგულს სინანული ვერ დაგიბრუნებს!

ნელის ხმით, მაგრამ დიდი პათოსით წარმოთქმული ამ პოეტური სტრიქონების შემდეგ კვლავ ჩაეკითხა:

– ა, რას იტყვი? ხომ არის ცხოვრებისეული აზრები?

– ნამდვილად! – მიუგო მოკლედ. მერე ჩამაწერინეო თხოვა და ჰკითხა:

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ჭკვიანური სტრიქონების ავტორი ეს ახირებული კაცია?

მან თავი დაუქნია: – მგონი, ათ წელზე მეტია, თვალიც არ მომიკრავს.

ინჟინერ-არქიტექტორმა ალმაცერად გახედა.

– მერე და ამდენი ხანი?!

– გაიკვირვა.

– ასე მოხდა და ეროვნულ მოძრაობაში ჩავები და...

– მაპატიეთ ჭიაბერ ბატონო, ზვიადისტი იყავით?!

მან პასუხი დააყოვნა, ჩაიღიმა, – თუ არ ვცდები, ზედმეტად ცნობისმოყვარე ხართ...

– მე სხვათაშორის შეგეკითხებით...

– კარგით, გეტყვით, თავიდანვე კი ვიყავი, მაგრამ მერე პოზიცია შევიცვალეთ, შემდეგ მეორე მხარეს დავდექი და... არ შევმცდარვარ, ცხოვრებას ალღო უნდა აუღო. რა წავაგე? – პარლამენტარი ვარ, ბიზნესმენი ვარ... ხომ იცი, ნათქვამია: კაცი უნდა ხერხი იყოს...

– გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, არა?! – ჩაურთო ინჟინერმა.

– მაშ. კარგა ხანია მიცნობ და ასეთი გულღია დიალოგი არც გვქონია. მართო ამად ღირდა ჩვენი აქ ერთად მოსვლა, თვითდაჯერებული ტონით უთხრა თანმხლებს, – რაც ჩვენი საქმის წარმატებით დაწყებაზე მიანიშნებს.

– ნამდვილ, ჭიაბერ ბატონო! – ჩაძალადევი ღიმილნარევი დასტური მისცა ისინი მანქანაში ჩასხდნენ.

ნუგზარი კი წუთით ყვავილების გამყიდველთან შეჩერდა.

– აქეთ, ჩემთან, კარგი ვარდები!

– ქრიზანთემა იყიდეთ!

აბა, მიხაკი, მიხაკი! – იყო შეძახილები, ვინ კიდევ რას სთავაზობდა, ნუგზარმა უხმოდ, უაზროდ, მუნჯივით ჩაუარა მათ, ბაზრის შესასვლელთან საზამთროების გორა იყო აღმართული. გვერდით, ტალიკ-ტალიკ გამყიდველ ბიჭებს მუყაოს ყუთებზე მადის მომგვრელი სუფრა გაეშალათ.

– მეზობელო, დიდი ბოდიში, თუ გვიკადრებთ, დაგვილიეთ ერთი, – მიმართა შავტუხა ახალგაზრდამ, ფეხზე წამოდგა, სასმისი მიაწოდა.

ნუგზარი წუთით შეჩერდა, ეტყობა, ჩვენი უბნელები არიან, – გაიფიქრა და გაბზარული ხმით, არ მინდაო, –უთხრა, საწამლავი რომ იყოს, სიამოვნებით შევსვამდიო, არ გეწყინოთ, უფალმა დალაგებულ დროს მოგასწროთო, – უსურვა. მადლობის ნიშნად ხელი გულთან მიიტანა, თავიც დახარა და სვლა განაგრძო.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ერთმა მეორეს მხარზე ხელი დაჰკრა, – ვიცნობდი მე მაგის ბიჭს, მაგიც მახსოვს, მაღალი, მხრებგაშლილი, არსენასავით რომ დააბიჯებდა უბანში, ეჰ! მე ამ ცხოვრების დედა ვატირე, როგორ უნდა უჭირდეს კაცს, როგორ მოწამლულ გუნებაზე უნდა იყოს, რომ მიწოდებულ სასმისზე უარი გტკიცოს და საწამლავი რომ იყოს, სიამოვნებით შევსვამდიო, გითხრას...

ნუგზარი დედა ენის ძეგლთან, სანაპიროზე გავიდა, ერთხანს იარა მოაჯირის ზემოთ, ქვემოთ, აღმა, დაღმა. იმდენი იარა, რომ მოიქანცა და შეჩერდა, მოაჯირს გადაეყრდნო, ქვევით ჩაიხედა, მერე ნელ-ნელა თავი ასწია და გაღმა მხარეს გავიდა მზერით. რაღაც ჩაიბუტბუტა, გაიღიმა, ჩაიცინა, გაიღიმა, ჩაიცინა, უცებ ხელი ჩაიქნია, მზერა ის[illegible] წ[illegible]ნარის ჩახვეულ, მბრუნა[illegible] გაჰყვია. თითქოს თავბრუ დაეხვა, მოაჯირს უფრო მიეკრა, შუბლზე ხელი მიიდო, თვალი მოწკურა, რამდენიმე წუთს ასე იდგა, გონებაამღვრეული, გაბრუებული, "თავი მოიკლა ცხოვრებაში არ არის ძნელი", – მოადგა ენაზე. – მოიცა, ვინა სთქვა? – ამას რა მნიშვნელობა აქვს... ცხოვრების შექმნა, გაცილებით უფრო ძნელია"... – ჰო, გაახსენდა, – ბაღდათელმა კაცმა, ბაღდათელმა კაცმა, – ჩაიქირქილა და კიდევ უფრო მაგრად მოწკურა თვალები, სრული სიბნელე ჩამოწვა მის ირგვლივ, – მაპატიე, უფალო, რომ ვერ გავუძელი დროის ქარბორბალას, – ამოიგმინა, გაგუდული თუ დახშული ხმით, მოაჯირს მერამდენედ, მაგრამ, ახლა უფრო მთელი ძალით დააყრდნო ძარღვებდაბერილი ხელები, ცერებზე შედგა, გადაიხარა და ... უცებ, თითქოს სიზმარშიო, – რას სჩადი, მამი! – შეჰკივლა, ჩასძახა ვიღაცამ, ვითარც განწირულმა და ქეჩოში ჩაავლო ხელი, მოქაჩა, ძლიერ მოსწია... წამიც და იგი მოკვეთილი ჩაიკეცა, თავი შეარხია, თვალები ამოიფშვნიტა, თითქოს ღრმა ძილიდან ახლა გამოეღვიძაო და მიმოიხედა. თამრიკო იყო თუ მისი ხმა მომესმა? – ძლივს გასაგონად წარმოსთქვა, აკანკალდა, ხელები მუხლებზე დააყრდნო და ისევ წამოდგა, წამოიმართა, მერე შებრუნდა, პერანგის სახელოთი ოფლით დანამული შუბლი შეიმშრალა.

– საიდან მომწვდი, შვილო! მიმიხვდი გუმანს? რად ჩაიდინე ცოდო... დავისვენებდი მაინც. – საყვედურნარევი ხმით გამოსცრა და თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, უცებ ხელნაკრავივით მოსწყდა ადგილს, ამ ბოლო წლებში მისთვის უჩვეულო აჩქარებული ნაბიჯებით აუყვა ზემოთ, მთავარ ქუჩაზე ამავალ კიბის საფეხურებს, წამითაც არ გაუხედია იმ ადგილისაკენ, სადაც ბელადის ძეგლი იდგა და მაშინ მამასთან ერთად მიტინგზე მყოფი შვიდი წლის ბიჭი ძლივს რომ გადაურჩა რუსების ტყვიებს...

"ჰმ! ერთმორწმუნე უფროსი ძმები", "ჩვენი უბედურების მოთავენი", "რუსები, რუსები"!, "ჩრდილოეთიდან ამოდისო ჩვენთვის მზე" – ჰაი დედასა!.. ნაწყვეტნაწყვეტ ფრაზებს აყოლებდა ნაბიჯებს უკვე აღმაშენებლის გამზირზე მიმავალი...

ნუგზარი საღამოხანს მივიდა შინ, თავის სამუშაო ოთახში კიდეებგახეხილ სავარძელში ჩაიკეცა, მაგიდაზე ორივე ხელი გაფარჩხა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს მხოლოდ ახლა შენიშნაო პირდაღებული წიგნის თაროები. ინანა, ჩალის ფასად რომ გაყიდა ასობით ძვირფასი მრავალნაირი ლიტერატურა – ტვინის და სულის საზრდო – ყველაფერზე დიდი განძეული მისთვის. ერთიც – ეჰო, – აღმოხდა, მერე მუშტები დაარტყა მაგიდას... წიგნები კი არა ... გაიფიქრა გუნებაში, – უჯრა გამოსწია... იქიდან სოხუმის დატოვების წინ თავის ვაჟკაცთან გადარებული ფრონტული სურათი ამოიღო. (სოხუმიც დაეცა და მისი თემურიც)წინ თავის ვაჟკაცთან გადაღებული ფრონტული სურათი ამოიღო (სოხუმიც დაეცა და მისი თემურიც). ისე, როგორც ყოველთვის, შუბლზე ხელი მიიდო და თვალები დააშტერა... ვერ მოუნელებია, რომ მან შეაგულიანა სტუდენტი ბიჭი. აცერცეტდა ამხელა კაცი. სწავლა შეაწყვეტინა, აფსუა სეპარატისტებს თავისი როგორ უნდა გავაყვანინოთო, ერთად წავიდეთო...

მანაც უყოყმანოდ აუბა მხარი, ჰოდა, ჩავიდა მამა-შვილი ფრონტზე, გუმისთასთან ჩაებნენ ბრძოლაში... რამდენიმე დღეც და "აფხაზებმა"სოხუმის გარეუბანში ამოაყოფინეს თავი. იქ მიხვდა, რომ ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა ირგვლივ; ყაჩაღებს, მარადიორებს, საშოვარზე ჩამოთრეულებს, ყველას ავტომატი ეჭირა.

გაგრძელება მე–11 გვ.

# მამა ელიზბარი სიმართლეს ეძებს

ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზის ელიზბარ ოდიშელის სასამართლო პროცესებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მასმედიაში. პრესის ფურცლებზე გაჩნდა სხვადასხვა სახელწოდების სტატიები, სადაც საკმაოდ ცუდ ტონებში იყო დახასიათებული მამა ელიზბარი ნუ ვიქნებით მიკერძოებულნი და მოვუსმინოთ მასაც. იქნებ ამ კონკრეტულ შემთხვევას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

– მამაო ელიზბარ, თქვენ ბრძანდებით საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, საკმაოდ დიდი მრევლი გყავთ. ღვთისმსახურ კაცს დავა გაქვთ მეზობელთან კარის ღიობით სარგებლობის თაობაზე?

– მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიისათვის კანონის მიუღებლობა აზარალებს არა მარტო ეკლესიას, არამედ ყველა ადამიანს და ამკვიდრებს ქვეყანაში არა ქრისტიანულ, არა ეროვნულ, არა სულიერ ცხოვრების წესს. ჩემი ღრმა რწმენით, არა ეკლესიურ პრობლემებში ღვთისმსახურთა ჩარევა (უფრო რომ დავაკონკრეტოთ – ადამიანის უფლებების დაცვაში ჩარევა) ერისა და ქვეყნისათვის მსახურების ერთ-ერთი ნაწილია. კომუნისტებიც კი, რომლებიც ეკლესიას ებრძოდნენ და ღვთისმსახურებასაც, ბოლო ჟამს ეკლესიას დაუდგნენ გვერდში; მიხვდნენ, რომ ეკლესიის ანგარიშგაწევით ქვეყანა წინ წავიდოდა. კომუნისტებმაც ვერ შესძლეს ხალხის სრული სულიერი დაცემა, მიუხედავად მათი სამოცდაათწლიანი ბატონობისა. დღეს კი დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც, ვითომ სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებაა, დიდმა მატერიალურმა გაჭირვებამ მოსახლეობას სულიერი წონასწორობა დაუნგრია. ამას ემატება ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი ორგანიზაციის უკანონო მოქმედებები. მიუხედავად ზემოთქმულისა, მე მაინც მჯერა ჩემი ქვეყნის მომავლისა, მჯერა ჭეშმარიტება იზეიმებს და ისიც მჯერა, რომ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც უანგაროდ დაიცავენ ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს. ჩვენს მართლმადიდებლობასა და საზოგადოების სულიერ ცხოვრებას.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მატერიალურმა და სოციალურმა სიდუხჭირემ ხალხის ზნეობრივი დაცემა მოიტანა?"

– რა თქმა უნდა! სხვადასხვა ორგანიზაციები, ამოფარებული ადამიანის უფლებებს, ამკვიდრებენ სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, რათა უცხოეთიდან მიიღონ შესაბამისი დაფინანსება და დაანგრიონ ის სულიერი ფასეულობა, რაც გააჩნია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ჩვენი ტაძრები არ არის შემოსილი ოქროთი და ვერცხლით, მაგრამ მათი მნახველები, მათ შორის უცხოელი ადამიანებიც, აღიარებენ ამ კედლებში განსხვავებულ მადლს. ზოგიერთი ურწმუნო, უმადლო ადამიანი არ ცდილობს მადლის მოპოვებას, არამედ, თუ რამე სულიერი შემორჩენია ღმერთისაგან ნაბოძები, ისიც უნდა გააბინძუროს. ავიღოთ მარტივი მაგალითი. კაცს თუ მარხვა დაერღვა, მივა მოძღვართან და სინანულს გამოხატავს, მაგრამ თუ კაცმა კაცს ცილი დასწამა, წაბილწა სიწმინდენი, შეურაცხყო ტაძარ-მონასტერი, ფეხქვეშ გათელა ღვთისმსახურთა ღირსება და ფიზიკურადაც შეეხო, უარყო სული წმინდის მადლი – მას მოძღვარი ვერ მიუტევებს. კაცს ყველა ცოდვა მიეტევება, გარდა სული წმინდის გმობისა.

–თქვენ ბრძანეთ, ღვთიმსახურისთვის კაცის ხელით შეხება დიდი ცოდვააო. მე გავიგე, რომ ასეთი შემთხვევა თქვენც გქონიათ. რას იტყვით ამის თაობაზე?

– მოგახსენებთ ჩემი კონფლიქტის შესახებ. ბარძიმაშვილების სიძემ და ქალიშვილმა სასამართლოზე მრავალგზის მომაყენეს შეურაცხყოფა. ქალაქის სასამართლოში სხდომიდან დაგვითხოვეს ორივე მხარე იმ მოტივით, რომ კოლეგიას ემსჯელა მოცემულ საკითხზე. ჩვენ მისაღებში უნდა დაგვეცადა. ამ დროს მომვარდა ცოლი და ქმარი. კარინამ შემომაფურთხა და ქმარმა, რომა დვალიშვილმა ჯვრის ჩამოგლეჯა სცადა. ჯაჭვი მსხვილი ნაქსოვია და დამიწყო ჭიდაობა, რათა ჩამოეგლიჯა ჯვარი. ასეთი შეურაცხყოფით გაოგნებულმა, სიტყვიერად მივმართე, რომ ჯვრისთვის გაეშვა ხელი. ეტყობა, ეს ხმაური გაიგო სხდომის თავმჯდომარემ დავით კალმახელიძემ. შეაჩერა პროცესი და გამოვიდა მისაღებში. რომ არა მისი ჩარევა, ალბათ წიხ-



ლქვეშაც გამიგდებდნენ და დამწამებდნენ, მამაომ გვცემაო.

– მიმართეთ თუ არა სასამართლოს ამის თაობაზე?

– რა თქმა უნდა, მივმართე სასამართლოს. ასეთი შეურაცხყოფა არა როგორც პიროვნებისათვის, არამედ როგორც მღვდლისთვის დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო. მათ არა მარტო მე მომაფურთხეს, არამედ მთელ სამღვდელოებას. მათ შეურაცხყვეს რწმენა და ჯვარი. მაგრამ, სამწუხაროდ, სამართალს ვერ მივაღწიე. ეს დაუსჯელი დანმაშავეები გაამამებულები არიან მასმედიის და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერით. ჩემი შეურაცხყოფა ამით არ დასრულდა. ბინის სადაო ნაწილის დასათვალიერებლად მოსული საოლქო სასამართლოს მოსამართლის მაია სულხანიშვილის თანდასწრებით, რამდენიმე ჟურნალისტის და სხვა ადამიანების, მეზობლების თანდასწრებით აივანზე გადმომდგარი კარინა, ანა ბარძიმაშვილის ქალიშვილი, უკანასკნელი ადამიანივით მლანძღავს, მაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და...

–თქვით ბოლომდე, რა მოხდა. ეს ის ყბადაღებული შემთხვევა ხომ არ არის, რომლეზეც მასმედია წერდა. მღვდელმა 77 წლის პედაგოგი ქალი სცემაო?

– ჟურნალისტები სენსაციას ელოდნენ. მე მოგიყვებით ყველაფერს როგორც მოხდა. სენსაცია უკუღმა შეტრიალდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვითმხილველმა ჟურნალისტებმა ეს შემთხვევა, რომლელიც გადაიღეს და ჩაიწერეს დამალეს. რატომ დამალეს, გეკითხებით, კარინა, ანა ბარძიმაშვილის ქალი, აბოლებს ჩემს 23 წლის გოგოს სახეზე და ხმამაღლა, ხალხის გასაგონად ცილს სწამებს, რომ თურმე აბორტები აქვს გაკეთებული (გოგოს, რომელიც გასათხოვარია) ამ სიტყვებით შეურაცხყოფილი და აცრემლებული ქალიშვილი შემყავს სახლში. ჩემი ვაჟი, რომელიც 15 წლის არის, გამწარდა. იგი მიდის კარინასთან და სთხოვს გაჩუმებას. ამ დროს იგი ოთხმა კაცმა წიხლქვეშ გაიგდესო. რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე გადაეფარა თავის შვილს. ანა ბარძიმაშვილის სიძეს ჩამოკაწრა ლოყა და პერანგი დაუხია. მე რომ სახლიდან გამოვედი, უკვე გვიან იყო. მოსამართლე უკვე მიდიოდა. მოწინააღმდეგის ადვოკატთან მივედი და ვთხოვდი სიმართლისათვის თვალებში შეეხედა, ობიექტური ყოფილიყო. მაშინ დამწამეს, თითქის ანა ბარძიმაშვილი გამელახოს. მე ისე არ დავეცემი, ხანშიშესულ ადამიანს შევეხო. მე მღვდელი ვარ მთელი ჩემი არსებით.

– სხვა პიროვნებასთან ხომ არ გქონიათ კონფლიქტი ოდესმე?

– 22 წელია ღვთისმსახური ვარ, აქედან 20 წელი ქაშვეთში ვმსახურობ. კონფლიქტი არასოდეს არ იყო ჩემი მიზანი. არც აქამდე და არც ახლა. მე თანახმა ვიყავი მოლაპარაკებაზე წავსულიყავი ანა ბარძიმაშვილთან. ვთხოვე აღედგინა თვითნებურად ტექნიკური პირობები, მაგრამ ეს არ მოისურვა ჩემმა მეზობელმა.

–თქვენი ოჯახის შესახებ რას გვეტყვით.

– მყავს სამი შვილი. მეუღლე, რომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის ვიყიდე ბინა. ვცხოვრობდი მუხიანში გადმოვედი ახლოს ტაძართან. გადმოსვლის დღიდან, 1996 წლის მაისიდან დაიწყო ჩემი ოჯახის შევიწროვება და დევნა.

– რა სახით ხორციელდება დევნა?

– პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ ხორციელ მეუღლეს და შვილებს წაართვეს გასასვლელი გზა ეზოსაკენ. გზა გათბობის სისტემისაკენ. მოუსპეს მეორადი განათება, მოუსპეს განიავება და გადაუკეტეს გაზი, (ვერ სარგებლობს გაზქურით). საართვეს სარდაფი ანა ბარძიმაშვილმა სარდაფი მისცა მეზობელს. ოზიაშვილს, რომლელიც ცრუ მოწმედ დაუდგა.

მოუხედავად იმისა, რომ მთაწმინდის გამგეობამ ნება არ დართო ბარძიმაშვილს გასასვლელი კარის ამოქოლვისა, მან ჩემი წყობიდან გამოყვანის მიზნით, თვითნებურად ამოქოლა კარი, რის შემდეგაც იძულებულები გავხდით მიგვემართა სასამართლოსთვის. ჟურნალისტებს საკბილო გაუჩნდათ, ბევრმა ჟურნალისტმა პროფესიას უღალატა და ტენდენციურად გააშუქა საქმე; როგორც სასულიერო მოღვაწის მიერ, საერო პირის დაჩაგვრის მცდელობა. სიმართლე კი, როგორც მოგახსენეთ, საპირისპიროზე მეტყველებს.

– საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა თქვენი დაპირისპირება. როგორ ფიქრობთ, კარგია თუ ცუდი ეს?

– მე საზოგადოება აქამდეც მიცნობდა, მაგრამ მიცნობდა ისე როგორის სინამდვილეში ვარ. მე ადამიანები მიცნობენ არა მარტო ღვთის მსახურებით, არამედ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრებით, რომელიც აგებულია არა ნგრევაზე, არამედ შენებაზე. მე ვიყავი ის მღდელი რომელიც ცდილობდა ჩვენი ერის შვილთა შერიგებას, გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანებას. ცხრა აპრილს რუსთაველზე მათთან ერთად ვიდექი. მე ბევრი ადამიანი გადავარჩინე. 1991 წელსაც, ტყვიების გარემოცვაში გადავარჩინე ქაშვეთის ეკლესია. ამავე დროს, გლდანის დასახლებაში ავაშენე ლომისის სახელობის წმინდა გიორგის ეკლესია. ავაშენე ქეთევან წამებულის ეკლესია. მუხიანში – მირიანისა და ნანას სახელობის და ილია მართლის ჭავჭავაძის ეკლესია. ქაშვეთის ეკლესიას სამრეკლო არ ჰქონდა. ისიც ავაშენე. აქვე გავაკეთე, ცხრა აპრილის სახელობის ბაღი. მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავხსენი დასაპურებელი სახლი, სადაც მათხოვრები და უპოვარნი უფასოდ მიირთმევენ სადილს. ახლა განსაჯოს ხალხმა და მართლმსაჯულებამ მე ლოთი ვარ თუ მრუში, თუ ჩემი ქვეყნისათვის საშიში ღვთისმსახური.

– თვენ ემდურით მართლმსაჯულებას?

მე გული მტკივა, როცა ვუყურებ უსუსურ მართლმსაჯულებას, მოსყიდულ ჟურნალისტებს, რომლებიც აღვივებენ საზოგადოებაში იმ აზრს, რომ მე ვარ ყველაზე უკანასკნელი ღვთისმსახური ამ ქვეყანაზე და რომ მე ვჩაგრავ სხვა ერის და სხვა თვისტომის ადამიანებს.

– ბარძიმაშვილი სხვა ერის შვილია?

– დიახ, ის რუსი ეროვნების წარმომადგენელია, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მე ერთნაირად პატივს ვცემ ყველა ეროვნების ადამიანს, სხვა ქვეყნის შვილის ჩაგვრა ჩემს ბუნებაში არ დევს. ღმერთმა მეზობელი ანა ბარძიმაშვილი იმისთვის გამომიგზავნა, რომ მენახა ამა ქვეყნის მსაჯულნი თუ როგორ სჯიან ჩემს ერის შვილთა. მე გული მტკივა, რომ ჩემს ქვეყანაში ქართველ ხალხს მართლის მიღწევა არ შეუძლიათ. ვინ გიშლით ხელს? ვის აძლევს ხელს მართლმადიდებლობისა და ქვეყნის ხლეჩა? მე არ მოვიახოვ ვიცხოვრო კარგად. უნდა გამიგოთ, რომ ჩემი ხორციელი ოჯახის ჩაგვრა იგივეა, რაც თქვენ დაგჩაგრონ. მიმოიხედეთ ვინ მესვრის ტალახს. ვინ მდევნის და რისთვის...

– თქვენ წააგეთ რამოდენიმე პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ კანონით კუთვნილ ტექნიკურ პირობებს ითხოვთ, მოუხედავად იმისა, რომ გაქვთ დიდი ავტორიტეტი. ამბობთ, უსამართლოდ გამოიტანეს განაჩენიო. ვთქვათ ბოლომდე სიმართლე, ვინ უმაგრებს ზურგს საპირისპირო მხარეს?

– მე მოგახსენებთ: შოთა დუმბაძე 59-ე უბნის სახლმართველობის ინჟინერი, რომელიც გაყალბებული საბუთებით და მინისტრთა კაბინეტის 11 თებერვლის 825-ე დადგენილების გვერდის ავლით მოსამართლეებს უკანონობას აკანონებინებს. მას გვერდს უმშვენებს ერთ-ერთი პარლამენტარი.

– მიმართეთ კი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს ან მთავრობას?

– მივმართე მრავალგზის პარლამენტს. პრეზიდენტს მრევლმა მიმართა. თვით ელენე თევდორაძესაც შემდეგ რაც გავიგე, რომ იგი მიბრძანდა მთაწმინდის სასამართლოში ბარძიმაშვილების დასაცავად, მაგრამ საქმე უფრო უარესად წავიდა, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის ბოკერიას ჩარევის შემდეგ. მათმა სასამართლო პროცესზე დასწრებამ და მათ მიერ ბარძიმაშვილების დაცვამ გამოატანინა უკანონო გადაწყვეტილება სასამართლოს.

– მაინც როგორ მოიპოვა მათი მხარდაჭერა ბარძიმაშვილმა?

– ალბათ იმიტომ, რომ საქართველოში სხვა ერის უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე ქართველების. ბარძიმაშვილი ყველა ინსტანციას მიმართავს, მიმართავს რუსულ დიასპორას, საელჩოს და ამით უნდა საქართველოს კანონი შეცვალოს, რასაც ჯერჯერობით მიაღწია კიდეც, ახალი სასამართლო, კერძოდ, საოლქო სასამართლოს მოსამართლეები უსუსურნი აღმოჩნდნენ... ასე მაწამებდენ ოთხი წელი, ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით, გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის, ღვთისმსახური ხარ და უნდა დათმო, ლამის ჯვარს მაცვეს. მე იმედს ვიტოვებ, რომ უზენაესი შემაძლებინებს ჩემი ადამიანური უფლებების დაცვას. ჯერ ფარ-ხმალი არ დამიყრია.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

*ესაუბრა*
*ლია გიგიტაშვილი,*
*ნატო მაჭავარიანი*

*პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები*

# პარიის ოქრო

*ანუ ლენინისა და ლენინური საქმეების ჭეშმარიტი არსი*

მასთან ერთად დელეგაციაში შედიოდა ი.ს. განეცკი – ბელადის მარჯვენა ხელი მისი კრაკოვში უქმად ყოფნის დროს, სადაც ლენინი ომის პირველ დღეებშივე დააპატიმრეს, როგორც რუსი ჯაშუში, სწორედ განეცკი გაიქცა ბერლინში, ფეხზე დააყენა იქ და ვენაში "სოციალ-დემოკრატები", რითაც მიაღწია არა მარტო ლენინის განთავისუფლებას, არამედ მატარებლით მის გადასროლას ციურიხში. 1915 წელს პარვუსმა განეცკი სტოკჰოლმში გამოიძახა, საიდანაც წარიმართებოდა გერმანული დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ, 1917 წლის მარტში, პარვუსსა და ლენინს შორის შემდგარი მოლაპარაკების თანახმად, განეცკი დროებით რჩება სტოკჰოლმში, ე.წ. "ცკ-ს საზღვარგარეთული ბიუროს" შემადგენლობაში, რომლის მოვალეობა იყო გერმანიიდან რუსეთში – ბოლშევიკებისათვის ფულადი სახსრების შეუფერხებელი გადაგზავნა. პარვუსის დახმარებით განეცკი ამყარებდა მრავალრიცხოვან კონტრაქტებს საზღვარგარეთის ბანკებთან. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ის დაინიშნა ბანკების მთავარ კომისრად და ფინანსების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, ე.ი. იმ წარმონაქმნის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც ხელმძღვანელობდა ძარცვებს, იღებდა ნაძარცვს და აწარმოებდა მის აღრიცხვას ("სოციალიზმი – ეს აღრიცხვიანობაა!")

მესამე, ვინც "სრულუფლებიან წარმომადგენლობაში" შედიოდა, იყო ცნობილი კრასინი, რომლის წარდგენის აუცილებლობა არ იქნებოდა, მის შესახებ ერთი სწორი სიტყვა მაინც რომ დაწერილიყო ბოლო 75 წლის განმავლობაში. ნიჭიერ ინჟინერს, სული და ჩვევები პროფესიონალი დამნაშავის ჰქონდა, ამიტომ მისი სიმპათიები ბოლშევიკებისაკენ იხრებოდა. 1905 წლის რევოლუციის დროს, პარვუსის ხალხთან ერთად, იგი მონაწილეობას ღებულობდა პეტერბურგის განყოფილების ვოლჟსკი – კამსკის ბანკის ძარცვაში, მიითვისა თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც პარვუსის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა პარვუსს მალე საზღვარგარეთ გაქცევა მოუხდა. კრასინი კი რუსეთში დარჩა და აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა გააჩაღა. მის გატაცებათა დიაპაზონი ერთობ ფართე იყო - დაწყებული საბანკო ეტლებზე თავდასხმებიდან და ქალაქის ელ. ქსელის მწყობრიდან გამოსაყვანად მომზადებიდან – ყალბი ფულის დამზადებამდე და პოლიციელთა ტრივიალური მკვლელობით დამთავრებული. თავხედსა და რისკის მოყვარულ ავანტურისტ კრასინს ლენინზე გული აუცრუვდა და აშკარად დასცინოდა ციურიხიდან მისულ მის სტატიებს, რომლებშიც ის შვეიცარიაში რევოლუციისაკენ მოუწოდებდა.

როდესაც პეტროგრადში ცნობილი გიორგი სოლომონი ჩამოვიდა, რათა ემიგრაციაში სიღარიბეში ჩავარდნილი "მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისათვის" შეწირულობანი აეკრიფა" (პარვუსი სპეციალურად ზღუდავდა ლენინს თანხებით, რათა საჭირო მომენტს ის ბოროტების ზენიტში შეხვედროდა), კრასინმა მას მოუსმინა, ამოიღო საფულე და ორი ხუთმანეთიანი კუპიურა გაუწოდა. გაგულისებულმა სოლომონმა ფულის აღებაზე უარი თქვა და განუცხადა კრასინს, რომ მისი დახმარების გარეშეც როგორმე გავიდოდნენ. "როგორც გინდათ – აიჩეჩა მხრები და მეგობრულად შენიშნა სოლომონს – ნუ გეწყინებათ, გიორგი, ლენინი არ იმსახურებს დახმარებას. ის ნგრევის მანიითა შეპყრობილი და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. არავინ იცის – როგორი აზრი დაიბადება ხვალ მის თათრულ გოგრაში. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, სჯობია ვისადილოთ".

მაგრამ გადატრიალების შემდეგ, ქვეყნის ფაქტიურად განადგურებული ვაჭრობის სახალხო კომისრად ლენინმა რატომღაც კრასინი დანიშნა: ნარკომატში მასთან მოედინებოდა კონფისკებული ფული და საქონელი როგორც მილიონიანი ბრუნვის მქონე მსხვილი სავაჭრო ფირმებიდან, ისე წვრილი დუქნებიდანა და სახელოსნოებიდან,

ფული და ფასეულობანი – სახალხო ბანკში, ხოლო საქონელი – ომისაგან საგარეო ვაჭრობის პარალიზების გამო ისედაც საქონლით გადატვირთულ საწყობებს გადაეცემოდა. კრასინი იყო ერთ-ერთი ავტორთაგანი "დახურულ საწყობთა" სისტემისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანაში ყველაფრის არსებობის პირობებშიც კი არაფერი არ იყიდებოდა, არამედ ბარათებით ნაწილდებოდა. ეს სისტემა დღესაც ცოცხლობს და ისეთივე ეფექტურობით მოქმედებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იმ წლებში შიმშილითა და გაჭირვებით სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანები საწყობებზე შტურმით მიდიოდნენ, რის გამო მათ ტყვიამფრქვევებიდან შეუბრალებლად ხვრეტდნენ. შემდეგ თითოეულის დახვრეტა ცალ-ცალკე ფორმდებოდა, როგორც "რევტრიბუნალისაგან" გამოტანილი განაჩენი. დროდადრო, ღამის სიბნელისა და მკაცრი დაცვის ქვეშ, გალატენილი საწყობებიდან გაფუჭებული პროდუქტი გამოჰქონდათ, ხანაგვეზე ყრიდნენ და მიწას აყრიდნენ რათა დამშეულ ხალხს ის არ გამოეყენებინა. გზადაგზა რა თქმა უნდა, რაღაც ნაწილი იკარგებოდა, იქურდებოდა და შავ ბაზარზე ხვდებოდა.მათ გამოყენებას მოსდევდა ეპიდემიის აფეთქება, რომელშიც, ბუნებრივია, გამყიდველებს ადანაშაულებდნენ.

იმედი ჰქონდათ, გადავსებულ საწყობებს მალე დაცლიდნენ. სწორედ ამისთვის მიემგზავრებოდა კრასინი ბერლინში.

გერმანიაში მიმავალ პიროვნებათაგან ყველაზე საინტერესო იყო "სრულუფლებიანი წარმომადგენლობის" მეოთხე წევრი – ვიაჩესლავ მენჟინსკი. ლენინის პირადი მითითებით გერმანიის დედაქალაქში მას რსფსრ-ის გენერალური კონსულის თანამდებობა უნდა დაეკავებინა. ვ. მენჟინსკი – ბოლშევიკური "ელიტის" ყველაზე ბოროტი ფიგურაა, "რკინის ფელიქსის" პირველი მოადგილე, ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმოყვარული ვამპირი რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК-ს) კოლეგიის წევრთაგან. ამასთან, მას ფინანსების სახალხო კომისრის თანამდებობაც ეკავა და იყო "სახალხო ბანკის" ერთ-ერთი მთავარი კომისართაგანი. თანამდებობათა საინტერესო შეთავსებაა, არა? – ერთი ხელით ძარცვავს და კლავს, მეორე ხელით ჩამოწერს და მალავს. მაგრამ, როგორც ჩანს ერთობ სერიოზული მიზეზები დაგროვდა, რომლებმაც აიძულეს ის მიეტოვებინა რუსეთში თავის რთული და შემოსავლიანი საქმეები და გამგზავრებულიყო ბერლინში. (1916 წლის ივლისში, პარიზის ემიგრანტთა გაზეთში „Наше эхо“ მან გამოაქვეყნა საინტერესო სტატია ლენინის შესახებ, რომელშიც წერდა: "ლენინი – ეს პოლიტიკური იეზუიტია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მარქსიზმისაგან ძერწავს ყველაფერს, რაც მოცემული მომენტისათვის დასჭირდება. ამჟამად ის თავის თეორიებში საერთოდ დაბნეულია... ლენინი ეს რუსული აბსოლუტიზმის უკანონოდ შობილი ყრმაა, რომელიც თავის თავს რუსული სახელმწიფოს ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ თვლის მისი ვაკანტურად დარჩენის შემთხვევისათვის... თუ ოდესმე მან ხელისუფლება ჩაიგდო, პავლე I-ზე ნაკლებ სისულელეებს არ უნდა ველოდოთ მისგან... ლენინელები ფრაქცია კი არა, არამედ უფრო სექტაა ან ცხენის ქურდების პარტიული კლანია, რომლებიც თავისი მათრახების ტყლაშუნის ხმების ჩახშობას ცდილობენ."

საკვირველი კამპანიაა შეკრებილი კრემლში!

ბერლინში, სილეზიის სადგურზე დელეგაციას დახვდა თვით დიდი პავრუსი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიღაც წვრილ მოხელეებთან ერთად. ამ ადამიანის მნიშვნელობა რუსეთის ბედისათვის ისე დიდია და ისე ცოტა რამაა ცნობილი მის შესახებ, რომ ეს საწყენიც კია, ვინაიდან სწორედ ის – პარვუსი იყო ლენინის მასწავლებელი და დამრიგებელი. სწორედ მან – პავრუსმა გამოიცნო პირველად ლენინში ადამიანი, რომლის უსაზღვრო დამანგრეველი მოქმედების ენერგია უნდა დახმარებოდა მას ფანტასტიკური გამდიდრების გლობალური გეგმების განხორციელებაში; პავრუსს "შავი სამუშაოს" შესრულება არ უყვარდა. თუმცა 1905 წელს მაინც მოუწია. თვლიან, რომ პავრუსის ნამდვილი გვარია გელფანდი, თუმც ბოლო მონაცემებით ამას ეჭვის ქვეშ აყენებს. მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო ავანტურისტების ნამდვილი პიროვნების ამოცნობა ძალიან ძნელია. ის ლენინზე სამი წლით უფროსი იყო: დაიბადა 1867 წელს, მინსკის გუბერნიის სოფელ ბერეზინოში. ბავშვობა ოდესაში გაატარა. 1885 წელს იქვე დაამთავრა ბაზელის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების კურსი. შემდეგ რამდენიმე წელს იმუშავა შვეიცარიისა და გერმანიის სხვადასხვა ბანკებში. იყო გატაცებული მარქსით. როგორც ჩანს პირველმა შენიშნა მარქსისტული შესაძლებლობა ნებისმიერი პოლიტიკური და სამხედრო დანაშაულის შენიღბვა-დასაფარავად. დაჟინებით დაეწაფა რუსეთის ისტორიისა და მისი სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობის შესწავლას; ყურადღება მიაქცია რუსული საზოგადოებაში დამკვიდრებული ღრმა ანტაგონიზმს და დაინახა მისი სრული უსუსურობა და დაუცველობა იმ შემთხვევისათვის, თუ ის დაკარგავდა განათლებულ ფენას, რომელიც ისედაც ძალიან მცირე ჰყავდათ და ინტელიგენციისა და თავადებისაგან შედგებოდა. პავრუსის აღმოჩენამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინზე.

პავრუსი იყო ერთ-ერთი ადამიანი "სოციალ-დემოკრატთაგან", რომელთაგანაც ლენინი პოლემიკას ვერ ბედავდა, თუმცა სხვებს, ვინც კი მისგან განსხვავებულად შეეცდებოდა მარქსიზმის ტრაქტოვკას, მოჩხუბარი მამალივით მიახტებოდა და უბოდიშოდ შეამკობდა გამოთქმებით: "მსახური", "დაქირავებული", "მოჯამაგირე", "ნაძირალა", "ბოზი", "მოღალატე". ეს იყო ძირითადი "ბუკეტი" ლენინის ლიტერატურულ-პოლემიკური გამოთქმებისა, რომლებსაც მოურიდებლად იყენებდა ყველასთანმართლებთანაც და არამართლებთანაც. თუმცა პავრუს–ერთადერთს, რომელიც ბელადს ყველაზე მეტად ეჯავრებოდა, შეხებას ვერ უბედავდა ვერც პირდაპირ საუბარში და ვერც პრესაში. პირიქით–უსმენდა რა მას ყურადღებით, ხშირად წამოიძახებდა: "სისულელეა! არქირეაქციულია! მაგრამ თუ დიალექტიკურად შევხედავთ – სწორედ ესაა პრაქტიკული მარქსიზმი!" "პრაქტიკული მარქსიზმი", პარვუსის აზრით, შემდეგში მდგომარეობდა: მსოფლიო ბატონობის, ანუ მარქსისტული ჟარგონით – "მსოფლიო რევოლუციის" მოხდენა შესაძლოა მხოლოდ ერთი გზით – მსოფლიო საფინანსო სისტემის კონტროლქვეშ მოქცევით. ის თვლიდა, რომ ამისათვის სულაც არაა აუცილებელი ძველი, ე.ი. არსებული საფინანსო სისტემის ნგრევა, არამედ სრულიად საკმარისია მასში თავის მხარდამჭერთა ჩანერგვა, თანდათან საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა და მისი წარმართვა საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის. ეს შესაძლებელია მხოლოდ რომელიმე, ასე თუ ისე შეძლებული ქვეყნის და დაპყრობით, მისი სიმდიდრის, უძრავ-მოძრავი ქონების ფულად გადაქცევით და მისი ხალხისთვის სუფთა პლატონური სოციალიზმის (ე.ი. მონობის ყველაზე უარესი ფორმა) თავსმოხვევით. ამ გზით მოპოვებული ქონება კი უნდა ჩაიდოს მსოფლიო საფინანსო სისტემაში და თუ საკმარისი თანხები მოგროვდება, მისი საშუალებით მსოფლიოს თავს უნდა მოეხვეს შესაბამისი იდეოლოგია. (არქირეაქციულია!") ბუნებრივია, შეიძლება საჭირო გახდეს მასობრივი და შეუბრალებელი ტერორის გამოყენება. მაგრამ მისი შენიღბვისათვის იდეალურ გარემოს ქმნის ისეთ გამოთქმათა გამოყენება, როგორებიცაა: "პროლეტარიატის დიქტატურა", "კლასობრივი ბრძოლა", "წარმავალი კლასები", "საყოველთაო თანასწორობა", "სრული თავისუფლება". საბოლოო მიზნის მისაღწევად უნდა საჭირო იქნეს მოფიქრებული, მარტივი ტაქტიკური სქემით მოქმედება: "წარმატების განმტკიცება, წარმატების განვითარება". უმკაცრესი დისციპლინა საკუთარ რიგებში, არავითარი სხვადასხვა აზროვნება, ხელმძღვანელთა ცხოვრების აბსოლუტური გასაიდუმლოება და თანდათან მათი გაღმერთება. ("არქირეაქციულია! მაგრამ თუ დიალექტიკურად შევხედავთ...").

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დირექტივები და დადგენილებები, დეკრეტები და მითითებები, საიდუმლო და სრულიად საიდუმლო ინსტრუქციები, რომელთა გახმაურება სიკვდილის მუქარით იკრძალებოდა. ესენი მხოლოდ საუბრები იყო მყუდრო კაფეებში, საღამოებზე, სადაც უმაღლეს გმირობად ფორტეპიანოზე "ვარშავიანკის"დაკვრა ითვლებოდა და ასეთი ზოგადი ფრაზების დეკლამირება, როგორიცაა: "ძირს თვითმპყრობელობა!"

მაგრამ "სცენარი" უკვე იწერებოდა და იხვეწებოდა. აზრთა სხვადასხვაობა თავიდანვე წამოიჭრა: თუ პარკუსი თვლიდა, რომ მსგავსი გეგმის განხორციელებისათვის რუსეთზე უკეთეს ქვეყანას ვერ მოიფიქრებ, ლენინი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ამისა. იგი თვლიდა, რომ რუსეთისგან არაფერი გამოვიდოდა. პავრუსი კი თვლიდა, რომ პირიქით – რუსეთში ყველაფერი, თვით შეუძლებელიც კი შესაძლოა განხორციელდეს. და როდესაც რუსეთ-იაპონიის ომში სასტიკი და დამამცირებელი დამარცხებებით ძირგამოთხრილი ათასწლიანი რუსული მუხა შეტოტმანდა, პავრუსმა მდგომარეობა მყისიერად შეაფასა: საუკუნეების განმავლობაში ბრწყინვალე გამარჯვებათა იმპერიული ლოზუნგებით ნაკვები ხალხი ვერ აპატიებდა რეჟიმს ასეთ მარცხს, რომელმაც თან გადაიყოლა იმპერიის სიამაყე – მისი უზარმაზარი ფლოტი, რომლის ნახევარი ტყვედ ჩაუვარდა იაპონელებს, აქ მარქსისტობა საჭირო არ იყო; საკმარისი იყო გახსენება გერცენის სიტყვებისა: "კურთხეულია ომებში დამარცხებანი და არა გამარჯვებანი... რადგან ყველგან მაგარი ბორკილები ხალხისათვის გამარჯვებულ მასვილებიდან იჭედება."

მიიღო რა იაპონელებისაგან პირველი ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი, პავრუსი 1905 წლის რევოლუციის ხელმძღვანელად და სულიერ ბელადად მოგვევლინა (იაპონური ფულიდან გარკვეული წილი ლენინსაც შეხვდა: რსდმპ-ის მე-III ყრილობის ორგანიზება და გაზეთ "ВПЕРЕД"-ის გამოცემისთვის). მაგრამ ლენინს რუსეთის არ სჯეროდა და საზღვარგარეთიდან თვალს ადევნებდა პავრუსის მოქმედებას, თან ხმამაღლა ლანძღავდა მას. გულში კი აღტაცებას ფარავდა. პავრუსის მეთოდი ნათელი იყო: რევოლუცია ქვეყანაში ესაა რევოლუცია დედაქალაქში: განაპირა მხარეების დეტონირდებიან. მან შექმნა "საბჭოები" და თვითონ პეტერბურგის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. რაღ ღირს თუნდაც მისი საფინანსო მანიფესტი! მისი ლოზუნგები, რომლებიც ომის საწინააღმდეგო და ფაქტიურად დამარცხებისთვის განაწყობდა რუსეთის მხარეს! 1905 წლის 9 იანვრის მსვლელობაც მისი ორგანიზებული იყო, როდესაც მისმა მებრძოლებმა ალექსანდრეს ბაღის ხეებიდან, ზამთრის სასახლის გარშემო მდგომ ჯარისკაცებს ტყვიები დაუშინეს და ცნობილი "სისხლიანი კვირის" პროვოცირება მოახდინეს! ბანკებზე თავდასხმები! ყველაფერი შესანიშნავად გააკეთეს, გარდა ერტისა: მაშინათვე არ დაიწყეს მასობრივი ტერორი და საბოლოოდ ყველაფერი წააგეს. თუმცა ლენინი თვითონ არაფერში მონაწილეობდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენებს, შეცდომებს ინიშნავდა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა: რუსეთში შესაძლოა ამბოხების, უწესრიგობის, გაფიცვების ორგანიზება. მაგრამ აშენება იმისა, რაც მათ აქვთ ჩაფიქრებული – შეუძლებელია: ის ქვეყანა არაა! საჭიროა დასავლეთ ევროპიდან დაწყება.

დაპატიმრებული და კატორღამისჯილი პარვუსი ციმბირის ეტაპიდან გაიქცა და... თურქეთში აღმოჩნდა. იქ ახალ ხელისუფალთა ეკონომიკური და ფინანსური მრჩეველი გახდა, იშოვა ამ თანამდებობაზე რამდენიმე მილიონი და ურთიერთობა გააბა საერთაშორისო ბანკებისა და კარტელების მსოფლიო კლუბთან. ამავე დროს იგი არ ივიწყებდა თავის მთავარ მიზანს – რუსეთის შემუსვრას და განაგრძობდა მჩქეფარე ეკონომიკურ მოღვაწეობას. ტროცკის გონებამახვილური გამოთქმით, მისი ფინანსური გენია ნიჩბად იქცა, რომელმაც იხსნა ნგრევის პირას მისული ოტომანური იმპერია ეკონომიკური კრახისაგან.

*რუსულიდან თარგმნა ზურაბ საგმელმა*

*(გაგრძელება იქნება)*

მე–8 გვერდიდან.

ისიც ცნობილი გახდა მისთვის, ნაღდი მეომრები რომ სისხლისაგან იცლებოდნენ. თბილისელთა ერთი ნაწილი ღრეობდა, თითქოს სეპარატისტებთან ომი კი არა, ომობანას თამაში იყო... მერე და ვინ შექმნა ასეთი ვითარება? ვინ გვყავდა გამკითხავი? ეკითხ-



ებოდა თავის თავს და ყოველთვის მწარედ ჩაიღიმებდა, კვნესას ამოატანდა, თითქოს ვიღაცას უმტკიცებსო, ჟინით ალმოხდებოდა, – მისი აღმატებულება. უმაღლესი მთავარსარდალი, ბატონო! იგი თვლიდა, რომ თვითონ თავისი წინდაუხედაობით ერთადერთი ვაჟი გასწირა უშედეგოდ. მთავარსარდალმა კი ათასობით ახალგაზრდა... ახლა საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი აურაცხელი ლტოლვილი?!.. რამდენიმეჯერ უფიქრია, როცა ხალხით სავსე გემი კაპიტნის მიზეზით, თუნდაც მისდაუნებურად ზღვაში იძირება, იგი თავის გადარჩენაზე როდი ზრუნავს... მგზავრთა ბედს იზიარებს... ქვეყნის კაპიტანმა კი... მიატოვა ყველა და ყველაფერი და ჰაიდა!.. მაგრამ ნუგზარს სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან, სამართალი მოჰკითხავს და უფხალი დასჯის ცოდვაკიდებულს...

მე? მეც ხომ უნდა მომკითხოს? – არ ასვენებდა მას აკვიატებული აზრი, არ პატიობდა თავისთავს, რომ ვერ განსაზღვრა მაშინ მარტო აფხაზების კი არა, უფროსი ძმების ჩაფიქრებული რომ იყო ყველაფერი, რომ მათი გენერლები წარმართავდნენ აფხაზეთ-საქართველოს "კონფლიქტს". ჩვენს უმაღლესს კი მსგავსი რამ არ უთქვამს, პირში წყალი დაიგუბა, თითქოს მამა აბრამის ბატკნები იყვნენ ისინი... "დარწმუნებული ვარ, ჩვენ მალე გავიმარჯვებთო, აცხადებდა...

ხომ დავიჯერეთ მაშინ მისი აღმატებულების შორსმჭვრეტელობა, დავიჯერეთ და ამიტომაც ვარ შვილო, მეც შენს წინაშე ცოდვილი, რა მეჩქარებოდა, მობილიზაცია იყო გამოცხადებული თუ ქედზე კაცს უხმობდნენ? მივქარე...

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ნუგზარ გიგაურს არ ასვენებდა ავბედით წარსულზე და აწმყოზე ფიქრები. მოუშუშებელ სულში ნიადაგ გრძნობდა ტკივილს. გრძნობდა კი არა, დღითი დღე ძლიერდებოდა მასში შინაგანი პროტესტი მისი ქვეყნის თავზე დატეხილი უბედურების გამო...

მძიმედ წამოდგა ფიქრებით ბურუსში გახვეული, გაუსაძლისი ცხოვრებით გულგატეხილი. გათელილი, დაძაბუნებული და ადრე დაბერებული... წამოიმართა და ზალაში გავიდა, კარებთან რადიო ეკიდა... აფხაზეთის დაბრუნებაზე იყო ლაპარაკი, ხმაზე იცნო, ვისი ინტერვიუც იყო, – უკვე აღარ შემიძლია შენი ამდენი დაპირებებისა და ტყუილების მოსმენა, – ამოიგმინა და ჯიქურ გამორთო, დაამუნჯა რადიო, მერე თამრიკოს საძინებელ ოთახში შეიხედა.

კედელზე გაგრის სანაპირო პარკში ათი წლის წინათ მის მიერ გადაღებული და-ძმის სურათი ეკიდა. გაბადრულები, გაღიმებულები... ოთახში შეაბიჯა, შედგა, ერთხანს მზერა მიაყინა მათ... როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, რა ბედნიერი მამა ვიყავი, – აღმოხდა. ახლა ეს-ეს არის საშუალოდამთავრებული თამრიკო ჰყავდა ნუგეშად, მაგრამ გული უკვდებოდა, რომ ვერ მამობდა... ხშირად მშიერი ეგულებოდა, ბევრი მისი ტოლ-სწორი კოპწიაობდა, თავს იწონებდა, ყველაფერი რომ ჰქონდა თავსაყრელად. წუწუნი და საყვედური ერთხელაც არ სმენია მისგან, ერხია კი ხმა ამოეღო, რაღაცით მაინც გამოეხატა უკმაყოფილება. მხოლოდ ეს იყო, ზოგჯერ თავდახრილი მარტოდმარტო მოკალათდებოდა თავის სამეცადინო მაგიდასთან და სევდიანი თვალებით ფიქრს მიეცემოდა...

ვიღაცის დაბადების დღეა, დაურეკეს... და პასუხობს:

– ვერ მოვალ, შეუძლოდ ვარო...

– თამრიკო, ექსკურსიაზე გვინდა წავიდეთ... და ამდენია საჭირო...

– ძალიან მინდა, მაგრამ...

– თამრიკო, პუგაჩოვას კონცერტზე წამოხვალ?

– არ მიყვარს იგი და არც...

– ჩვენ შეგიძენთ ბილეთს...

მაინც არა, არა...

ნუგზარს სულს უფორიაქებდა, ასეთ შეჭირვებულ მდგომარეობაში რომ ჰყავდა იგი. მე ვარ ალბათ უნიათო, მოუხერხებელი, ვის უნდა შენი მეცნიერება, შენი სისპეტაკე – არ გვჭირდება ბატონო, თვითონ ეძიე სამუშაო სადაც გინდაო, – უთხრეს. ერთმა ამხანაგმა, დიდი ქონება რომ შემორჩა "წითელი" ბიზნესმენი მამისაგან, შესთავაზა: დოლარები დადე და საქმეში გაგიყვანო. ფილოლოგი მშობლების ნაშიერს ამ მსოფლიო გონებისა და ქონების მაგნიტისათვის თვალი თუ შეუვლია თორემ ჯიბეში არასოდეს ჰქონია ერთი დოლარიც.

*(გაგრძელება იქნება)*

## ახალი ქარხანაც რომ ავაგოთ, ისეთ მეთოდს შემოიღებენ, იქაც «დაგვახრჩობენ»..

როცა სამი წლის წინათ ბადრი მელაძე ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში სამუშაოდ მივიდა, მდგომარეობა მეტად რთული და უიმედო იყო. მარტო მილიონ ასიათასი ვალი დახვდა და თანაც გაჩერებულ ქარხანაში გადასახადები იზრდებოდა და ვალს ვალი ემატებოდა. ოპტიმიზმით და ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა კაცმა გამოსავლის ძებნა დაიწყო. აქეთ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის დახმარებით გამოინახა ვალის დაფარვის საშუალებები, ზოგიც საკუთარი ნაცნობ-მეგობრების შემწეობით.

– სამი წლის მანძილზე 1400000 ლარი შემოვიდა, მაგრამ ქარხანას ჯერ მაინც არაფერი ეტყობა, საბრუნავი თანხა არა გვაქვს ჯერაც. იმ კრედიტების პროცენტებმა, რომლებიც ჩვენს მოსვლამდე ძალიან უნიჭოდ იყო აღებული, ძალიან დიდი თანხები წაიღო, დაახლოებით, 350000 დოლარი პროცენტებში მაქვს გადახდილი – გვითხრა ქარხნის პრობლემებით დაინტერესებულთ ბატონმა ბადრი მელაძემ.

ორგანიზაციის წარმატების საწინდარი ხელმძღვანელის მონდომება, ცოდნა, ენერგიულობა და სწორი პოლიტიკაა. ეს ყველა ნიჭი უსათუოდ გააჩნია ჩვენს რესპოდენტს, მიუხედავად ამისა, პრობლემებისაგან თავის დაღწევას და ქარხნის მოწინავეთა რიგებში ჩაყენებას ჯერ-ჯერობით მაინც ვერ ახერხებს. ამას ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი გააჩნია. პირველ რიგში წარუმატებლობის მიზეზი მაინც ის ვალები გახლავთ, რომლის დაფარვაც დღემდე ვერ მოხერხდა და რომელიც ქარხანას აგერ ამდენი წელია მოსდევს და გამუდმებით იზრდება.

– პირველ რიგში საჭიროა ვალების დაკონსერვება, აგრეთვე ძველი დანადგარები გადაიარაღებას მოითხოვს და საერთოდ საჭიროა რეორგანიზაცია. შემდეგ კი შეიძლება მომავალზე საუბარი, ისე ქარხანას პერსპექტივა არა აქვს, მე მყავს ნაცნობები, მეგობრები, რომლებიც მზად არიან ინვესტიციები ჩადონ ჩვენთან, მაგრამ ამისათვის საჭიროა ქარხანა ვალებისაგან სუფთა იყოს, კაცი, რომელიც საქმეში ფულს დებს, მოგება სურს – ასეთია ქარხნის დირექტორის მოსაზრება მომავალზე.

ნულოვანი მდგომარეობით რომ დამეწყო მუშაობა, დღეს ქარხანა უძლიერესი იქნებოდაო – გვითხრა მან და ვერწმუნეთ კიდეც. რადგან თუ რაიმეს აჭარაში და საერთოდ, საქართველოში პერსპექტივა აქვს, აქვს ამ დარგს, რადგან მთელი საქართველო არის ბოტანიკური ბაღი, რომელიც გაჯერებულია მცენარეებით. დღეს კი ყველას ნატურალურ წამალზე აქვს მოთხოვნილება და არა სინთეტიკაზე დამზადებულზე. ქარხანაში მოსვლის დღიდან გულხელდაკრეფილი არ დამჯდარა ბატონი ბადრი, მოიარა ამერიკა, ევროპა, შეისწავლა იქაური ბაზარი და მისი ათვისების შესაძლებლობები:

„ამერიკაში რომ წამალი შეიტანო, 8 წელიწადს გამოცდის უნდა გადიოდეს, მერე სათანადო ლიცენზია უნდა მიიღო, ასევეა თითქმის ევროპაშიც. ეს ქარხანა თავის დროზე უშვებდა ისეთ წამლებს, რომლებიც მიდიოდა გდრ-ში, გფრ-ში, პოლონეთში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ ეს ხდებოდა მოსკოვის გავლით, შევეცადეთ ეს არხები როგორმე აგვემუშავებინა, თუმცა ჯერჯერობით მნიშვნელოვანი მიღწევები არა გვაქვს, სანაცვლოდ სამხრეთ ამერიკელებთან დავდეთ ხელშეკრულება, რომ ისინი ჩვენგან ნაწარმოებ პროდუქციას დააფასოებდნენ და თავიანთი ეტიკეტით გაუშვებდნენ ბაზარზე. ჯერ არც ეს განგვიხორციელებია. ქარხანაში საბრუნავი თანხა არ არის".

შიდა ბაზრის ათვისების პრობლემაც გასჩენიათ ამ ქარხნის მესვეურებს. პროდუქცია, რომელსაც ისინი აწარმოებენ, გაცილებით იაფად შემოდის უცხოეთიდან.

– ჩვენ შეგვიძლია 50 დასახელების პრეპარატი ვაწარმოოთ, ამ წუთში 10-12 დასახელებისა უკვე მზად გვაქვს და შეგვიძლია ბაზარზე გავიდეთ, მაგრამ.. ჩვენი გამოშვებული თუნდაც იოდი გაცილებით ძვირია, ვიდრე ვიღაცის პატარა ფირმაში ერთ ოთახში ჩამოსხმული იოდი. ჩვენსას ერიცხება სინათლის, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები, მომსახურე პერსონალის ხელფასები და ასე მიძვირდება პროდუქცია – ამბობს ბატონი ბადრი.

გამოსავლის ძებნა აქ მოსვლის დღიდან დაიწყო ქარხნის დირექტორმა, როგორც უკვე ვთქვით, და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა:

"ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკა თუ არ გამოსწორდა, თუ მიმართულება სწორად არ განისაზღვრა, რა გვინდა ჩვენ, არანაირ წარმოებაზე არ შეიძლება საუბარი. ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას სახელმწიფო რატომღაც ყურადღებას არ აქცევს. ყველაფერი ევროკავშირის და ევრობანკის ინსტრუქციებით მიმდინარეობს საქართველოში, ახალი ქარხანაც რომ ავაგოთ, ისეთ მეთოდს შემოიღებენ, იქაც დაგვახრჩობენ, არა მგონია ისეთი წარმოება განვითარდეს საქართველოში, რომლის ხელმძღვანელსაც მართლა ქვეყნის სასარგებლოდ უნდა მუშაობა, წარმოების განვითარება ან ვინმეს "ხელდასმით" უნდა მოახდინოს, ან ვინმე დასავლეთელს უნდა მისცე 51%-ი, რომ შენ გამუშაოს. კანონმდებლობა ისეა შექმნილი, თუ გინდა, რომ წარმოებამ იმუშაოს, არაოფიციალური ოპერაციები უნდა აწარმოო, სხვაგვარად წაგებაზე ზიხარ. თუ არ მოიპარავ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ვამბობ, ისე ვერცერთი მეწარმე წარმოებას ვერ აამუშავებს, ან უნდა დააშავო და იყო მათი მონა-მორჩილი, ან არადა ვერ იმუშავებ".

საუბარი უნებურად ნაცნობ კალაპოტში გადავარდა, მეწარმეთა გულისტკივილით სავსე სიტყვებმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა, ნუთუ ყველას სატკივარი ქვეყნის საერთო სატკივარს არ შეადგენს, ნუთუ ყველა სცდება? ან სულაც გამოსავლის ძებნაში თავგზა აერიათ.. "ყოფნა? არ ყოფნა?! საკითხავი, აი, ეს არის!

*ნანა ძველაია*

## ბათუმის ნავსადგურს ხელისუფლება გერივით ეპყრობა?!

სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების რეალური მდგომარეობა ქვეყნის რეალური მდგომარეობის განმსაზღვრელია უთუოდ. თითოეული სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ამგვარ ობიექტთა მუშაობის, წინსვლა-განვითარებისათვის ხელშეწყობას, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვერ შევხვდებით საქართველოში. თუ სახელმწიფო ინტერესებზე ვიმსჯელებთ, მაგალითისათვის კი ნავსადგურებს მოვიყვანთ, უნდა ვთქვათ, რომ როგორც ფოთის, ისე ბათუმის ნავსადგური სწორედ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი გახლავთ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის, მაგრამ საქართველოში ეკონომიკას რომ პოლიტიკა განაგებს, არ ახალი ამბავი გახლავთ. სწორედ ამგვარი უცნაური პოლიტიკის საფუძველზე ხდება თურმე (როგორც ბათუმის ნავსადგურში გვითხრეს), სახელმწიფო დონეზე ერთი ნავსადგურის იგნორირება მეორის ტვირთბრუნვის გაზრდის თვალსაზრისით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ხშირად პარლამენტართა გადასაწყვეტი ხდება ხოლმე, რომელ ნავსადგურში რა ტვირთამწეობის გემი შევა.

წერილის წაკითხვისას "ქურდს" "ქუდი" თუ აეწვება, ტენდენციურობაში ბრალი რომ არ დაგვდოს, მაგალითისათვის დეკემბერ-იანვრის მოვლენებიდან ორ "ცოცხალ" ფაქტს დავასახელებთ/

არის შემთხვევები, როცა გემი მიდის რეიდზე, პორტს კი არა აქვს საშუალება გემი ნავსადგურში მიიღოს და იქ დაიცალოს, მაგრამ დიდი გაჭირვებით, გარკვეული ინტერესების ნადებით, ეს მაინც ხდება თურმე.

ფაქტზე, რომელზეც დღეს ჩვენ მოგითხრობთ და რომელიც ბათუმის ნავსადგურის უფროსმა ჯამბულ ნინიძემ მოგვაწოდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ, არც სახელისუფლებო წრეებიდან დაინტერესებულა ვინმე, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა.. ფოთის ნავსადგურში შემოსულმა ორმა გემმა "სი პრინცესმა" და "ნორდ პრინცესმა" ავარია განიცადეს. ამ გემებით შემოსული ხორბლის დაცლა რეიდზე, სხვა ტექნიკის გამოყენებით, (ხორბალი ნავთობის გადამზიდ ტანკერებში ჩაიტვირთა) და თანაც ხარჯები ერთიორად გაიზარდა. არადა თავის დროზე ბათუმში სპეციალიზირებული ნავსადგომი იყო გაკეთებული და პნევმომანქანებით შეიძლებოდა ხორბლის ამოტვირთვა. ზემოთხსენებული ტვირთის მიღება ბათუმის ნავსადგურში 100000 ლარი თუ დაჯდებოდა, დაინტერესებულმა პირებმა ეს ფოთის ნავსადგურში 250000 ლარად მოახდინეს. სულ სხვა საქმეა კიდევ მომხდარი ავარიები: ფოთის ნავსადგურში შესული გემი შუა ზღვაში მეორე გემს შეეჯახა, სადაც ხდებოდა ხორბლის გადაზიდვა, მეორე შემთხვევაში კი გემი მეჩეჩზე დაჯდა.

– როცა უცხოელი პარტნიორი ამგვარ ფაქტებს ხედავს, იძულებული ხდება მოძებნოს სხვა ალტერნატიული ნავსადგური. ამ ფაქტის შესახებ ყველასათვის ცნობილია, თუმცა იმის აღიარება, რომ ეს შეცდომა იყო, არავის არ სურს, – ასეთი კომენტარი გაუკეთა აღნიშნულ ფაქტს ბათუმის ნავსადგურის უფროსმა ბატონმა ჯამბულ ნინიძემ.

მიუხედავად ამგვარი შემთხვევების სიმრავლისა, როგორც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლები გვიჩვენებენ, ტვირთბრუნვა ბათუმის ნავსადგურში 3-ჯერ გაიზარდა, ამან კი საგრძნობლად გააუმჯობესა საფინანსო მაჩვენებლები – ბიუჯეტში შენატანები.

– თუ ვიტყვით, შარშან პირველი კვარტალი პრობლემებით გავიარეთ, დღეის მდგომარეობით კი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული არის 756000 ლარი, არასაბიუჯეტო ფონდებში 215000 ლარი, ეს შარშანდელ მაჩვენებლებს 89000 ლარით აჭარბებს. მინდა აღვნიშნო, რომ წელს მუშაობაში სიახლეც გვაქვს, დავიწყეთ ბოქსიტების გადაზიდვაც, რაც, ალბათ, უკვე ათი წელია, არ მომხდარა – გვითხრა ბატონმა ჯამბულმა.

ბუნებრივია, ტვირთბრუნვის გაზრდის მიზეზებით დავინტერესდით ამ საგანგებო მდგომარეობაში. ნავსადგურის უფროსმა განგვიმარტა, რომ გასული წელი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ტვირთბრუნვის შემცირებით, როგორც ბათუმში, ისე ფოთის ნავსადგურებში, მაგრამ ახლა გადაზიდვების გეოგრაფია თანდათან იზრდება, პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობამ ნავსადგურებს საშუალება მისცა კლიენტურამ მოკლე გზით ყველა სიტუაციის გათვალისწინებით ისარგებლოს.

– ისე, ამ გზას თავისი უარყოფითი თვისებებიც გააჩნია. რკინიგზის გადაზიდვები ძალიან მოკლე მანძილზეც კი ძვირი ღირს. რუსეთში სატარიფო განაკვეთები რკინიგზაზე 50%-ით დაბალია, ვიდრე ჩვენთან საქართველოში, ნებისმიერი უცხოელი პარტნიორი ცდილობს, გამოძებნოს ისეთი ნავსადგური, სადამაც ტვირთს ყველაზე იაფად, უდანაკარგოდ გადაიტანს, ჩვენი ხელისუფლების ამგვარი მიდგომის გამო ტვირთი შეტრიალდა ბალტიისპირეთისა და რუსეთის ნავსადგურებში – ამბობს ჯამბულ ნინიძე.

რკინიგზის ტარიფების სიძვირეს, როგორც ჩანს, არც ნავსადგურის მომსახურების ტარიფები ჩამოუვარდება, რამდენიმე სიტყვით ბატონი ჯამბული ამ პრობლემასაც შეეხო:

"ჩვენ ჩვენი წინადადებები დავაყენეთ, როცა იქმნებოდა ბრძანება საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში სატარიფო განაკვეთების გაზრდის შესახებ, მაგრამ, ფაქტობრივად, არც ერთი ჩვენი წინადადება არ იქნა მიღებული. სახელმწიფოს ამ მხრივ გააჩნია მონოპოლია, არადა თუ საბაზრო პირობებზე ვსაუბრობთ, ტვირთების მოზიდვის თვალსაზრისით, სატარიფო განაკვეთი ადგილზე, ნავსადგურის დონეზე უნდა რეგულირდებოდეს."

ბატონმა ჯამბულმა ისიც თქვა, რომ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებს ერთმანეთთან ოდითგანვე დღემდე კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ გულსაწყვეტი ის არის, რომ ბათუმის ნავსადგურს ხელისუფლების მხრიდან გერივით ეპყრობიან და არანაირ კრედიტზე, არანაირ დახმარებაზე (მოძმე ფოთის ნავსადგურისგან განსხვავებით) საუბარი არ არის, ნავსადგურის გადაიარაღება კი უკვე საჭიროა.

ნავსადგურში ჩადებული ყოველი ერთი ამერიკული დოლარი იძლევა დიდ ეფექტს ძალიან მოკლე დროში, ხუთმაგად, ათმაგად დაგვიბრუნდებაო, ამტკიცებს იგი, ხელისუფლებას კი შეიძლება ფიცი სწამს, მაგრამ "ბოლოთი გაკვირვების" მაინც ეშინია და სიძუნწეს თუ არა თავშეკავებას მაინც ცდილობს. შიშსა და ჭოჭმანში გადის დრო, დრო კი ფულია.

*მანანა ლობჟანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

EXPRESS AUDIT SERVICE

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია N 091;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ.5 მე-2 სართ.
ტელ: 93-15-89

## ტესტი

ხართ თუ არა იმპულსური?

შეგიძლიათ რთულ ვითარებაში იმოქმედოთ გონებით და არ აჰყვეთ გრძნობებს? შეგიძლიათ კომპრომისზე წასვლა"? ამის დასადგენად პასუხების სამი ვარიანტიდან -ა,ბ,გ, შეარჩიეთ ერთ-ერთი

1. ხომ არ მოგაჩნიათ, რომ სხვებთან შედარებით, მორიდებული ხართ?
ა. ალბათ, ისეთივე ვარ როგორიც ყველა;
ბ. არა;
გ. სიმართლე გითხრათ – დიახ.

2. შეგიძლიათ თქვათ, რომ კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?
ა. ნაწილობრივ;
ბ. პირიქით;
გ. მთლიანობაში – დიახ.

3. თქვენი მოქმედება ხშირად ხასიათზეა დამოკიდებული?
ა. არა;
ბ. იშვიათად;
გ. დიახ, ხდება ხოლმე.

4. სულერთია თუ რას ფიქრობენ თქვენზე გარშემომყოფნი?
ა. არა, მე ეს მაწუხებს;
ბ. იფიქრონ, რაც უნდათ;
გ. გააჩნია, ვინ.

5. როგორ იღებთ ხუმრობასა და შენიშვნებს?
ა. არ ვბრაზობ;
ბ. ვერ ვიტან;
გ. როდის როგორ.

6. ახლობლები ხომ არ გაბეზრებენ თავს შენიშვნებით?
ა. საბედნიეროდ, არა;
ბ. ზოგჯერ კი;
გ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს.

7. ხომ არ ეტანებით სპირტიანსასმელებს?
ა. არც უამისობაა;
ბ. ალკოჰოლის გარეშეც კარგად გავდივარ;
გ. იშვიათად.

8. შეგიძლიათ სწრაფი რეაგირება?
ა. ყოველთვის არა;
ბ. ჩემთვის ეს ძალიან ძნელია
გ. ვფიქრობ, დიახ.

9. თვლით თუ არა, რომ ყველა და ყველაფერი თქვენ საწინააღმდეგოდ არის – ადამიანებიც და გარემოებაც?
ა. არა;
ბ. ზოგჯერ;
გ. რომ დავუფიქრდე, ეს მართლაც ასეა.

10. სახლიდან წასვლა თუ გიფიქრიათ ოდესმე?
ა. ჩემი სახლი – ჩემი ციხესიმაგრეა;
ბ. რა თქმა უნდა;
გ. დიახ, მაგრამ ვახშმისათვის უკვე შინ ვყოფილვარ.

თუ 0-დან 5 ქულამდე დააგროვეთ – თქვენთვის უცხოა რისკი. გირჩევნიათ ყველაფრის აწონ-დაწონვა და დაგეგმვა. ადამიანებთან ადვილად პოულობთ საერთო ენას, კარგადართმევთ თავს მონოტონურ და ერთფეროვან სამუშაოს. არ ხართ ზედმეტად პატივმოყვარე, მაგრამ მეორე მხრივ, თქვენი ქცევა არაბუნებრივია და შებოჭილია.

თუ 6-დან 15 ქულამდე დააგოვეთ – საკმაოდ გაწონასწორებული ხართ და კანონების მორჩილი ადამიანი ხართ. ცხოვრებაში ყველაფერს წინასწარ გეგმავთ, როგორც უმნიშვნელოს, ასევე მნიშვნელოვანსაც, მაგრამ ჩანაფიქრს ყოველთვის ვერ ახორციელებთ. მეგობართა სტაბილური წრე გყავთ, ასევე – ბევრი ნაცნობი.

თუ 16-დან 20 ქულამდე დააგროვეთ – ხართ აქტიური, საკუთ დ თავში დარწმუნებული, შეგიძლიათ გარისკოთ და სწრაფად მიიღოთ გადაწყვეტილება. ამასთანავე, იმპულსური და თავშეუკავებელიც ხართ. ხშირად არაფრად აგდებთ ქცევის სოციალურ ნორმებს. ადვილად გწყინთ ყველაფერი, ამიტომ ადამიანებს უჭირთ თქვენთან ურთიერთობა. შეიძლება წუთიერი ზეგავლენით იმოქმედოთ და არ იფიქროთ საკუთარი მოქმედების შედეგებზე. არ განეკუთვნებით იმათ რიცხვს, ვინც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს.

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ:

გაზეთ "საქართველოს" საკონსულტაციო ბიურო 31 მარტიდან იწყებს სამართლებრივ მხარდაჭერას და იურიდიულ კონსულტაციებს:

1 .ქონებრივ, სახელშეკრულებო, სამემკვიდრეო, საოჯახო, შრომის და საავტორო სამართალის სახითხებზე.

2. საქართველოს საკონცესიო, საინვესტიციო, საგადასახადო, საბაჟო, საბანკო კანონმდებლობის, სავალუტო რეგულირების საკითხებზე, ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემებზე.

პირველად საქართველოში: ქონებრივი, ფინანსური და სამეურნეო დავების სასამართლომდელი და სასამართლოსგარეშე განხილვა და მათი კერძო არბიტრაჟის სისტემაში, კონფლიქტში მონაწილე მხარეთათვის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც აქვს სასამართლოს გადაწვეტილების კანონიერი ძალა.

4. საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული აქტების ნორმების და დებულებების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში.

5. საადვოკატო პრაქტიკა, საინფორმაციო მხარდაჭერა, საკომსულტაციო უზრუნველყოფა.

6. თავისუფლად ვლაპარაკობთ და ვთაგმნით ქართულ, რუსულ, თურქულ, ინგლისურ ენებზე.

გაზეთ "საქართველოს" საკონსულტაციო ბიუროში წინასწარი ჩაწერა ტელეფონებით: დღისით 93 18 41, 93 20 36 საღამოთი 52 46 67

ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ჩვენი დევიზია: "ყოველთვის მზად ვართ დავეხმაროთ ყველას".

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
ატარებს სილამაზის კონკურსს
### "მის საქართველო – ფერია 2000"



კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ გოგონებს 5-დან 13 წლამდე. (ასაკობრივი დაყოფით) მსურველი გოგონების მიღება-ჩაწერა იწარმოებს 1 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით. სილამაზის კონკურსი ჩატარდება "შერატონ მეტეხი პალასში" 2000 წლის 22 აპრილს 17 საათზე. ვიღებთ შეკვეთებს დაგეგმილ ღონისძიებაზე დასასწრებად (მაგიდური სისტემით) ადგილები შეზღუდულია. პროგრამის პროდიუსერები: ია და დოდო ქარდავები.

*დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით:*
*95-17-42 საქ. სახელმწიფო ფილარმონია.*
*დავით აღმაშენებლის 136. ოთახი 34.*

*92-15-41 (საღამოს) შაბათ-კვირას.*

საინფორმაციო მხარდაჭერა
რადიო: 'ფორტუნა"
გაზეთები: "საქართველო" 'ალია", 'საქმოსანი", "შანსი", 'ქალთა გაზეთი", " ქალის საიდუმლო", "კოკროჭინა", "ლამაზი ქალი",'ლელო" 'რეკლამა", '7 დღე", 'ქაოსი" 'ზომონდი"
ჟურნალები: 'საქართველოს ქალი" 'ვარსკვლავები" 'ლამაზი ქალი"

## საბუღალტრო და კომპიუტერისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები

პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას (ქართულ, რუსულ სექტორზე) საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემსწავლელ 1,5 – თვიან (მოქმედ ბუღალტერთა) და 3-თვიან (დამწყებთათვის) კურსებზე. გაიცემა სერთიფიკატი. სწავლა დაიწყება 17 აპრილიდან.

აქვე ფუნქციონირებს კომპიუტერისა და ინგლისური ენის შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ვაზისუბნის დასახლების დასაწყისში. 16 სართულიანი სახლის მე-13 სართულზე, რკინის კარებით, ბინა დიდი ფართისაა.
ტელ. 77 89 97

იყიდება ბულგარული კედელი რბილი ავეჯით. ფასი 800 დოლარი
ტელ. 71 41 00

იყიდება მიწის ნაკვეთი წყნეთში 450 კვ.მ. ფასი 12000
ტელ. 22 80 34

იყიდება ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი სარდაფით, მუდმივი სასმელი და სარწყავი წყლით, გათბობით და 4.500 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილიანი ბაღით *მის. გარდაბნის რაიონი, ს. სართიჭალა, კოსტავას ქ. 10*
*ფასი შეთანხმებით*

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.